ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 17 მარტი 1998 №39 (574) ფასი 40 თეთრი

# ფრენსის ლი სიტის წარსუ[ლი]

## გუშინ „მანჩესტერ სიტის“ კლუბის თავმჯდომარე გადადგა. ეშველება ამით გიორგი ქინქლაძეს?

წუხელ სააგენტო „როიტერმა“ ქართველი გულშემატკივრებისთვის საყურადღებო ცნობა გაავრცელა — თანამდებობიდან გადადგა „მანჩესტერ სიტის“ თავმჯდომარე, თავის დროზე ჩვენში არნახული ტრანსფერის ერთ-ერთი გამჩარხველი — ფრენსის ლი.

გიორგი ქინქლაძე მაშინ აწ ლის ნაპრეზიდენტალ „სიტიში“ გადაბარგდა, გუნდიც იმავე სეზონში პირველ დივიზიონში დაქვეითდა და დაიწყო...

ახლა უკვე გვიანია. დაახლოებით წლინახევრის წინ კი რომელიმე რეჟისორს ან სცენარისტს მორიგი სერიალის შემქნის იდეა რომ გაჩენოდა, სიუჟეტი მზად ექნებოდა. ბევრი ფიქრი და გონების დაძაბვა არც დასჭირდებოდა, ქინქის ინგლისური (მანჩესტერული) ოდისეა — სათაურად ესეც ივარგებდა. ფილმის გადაღება მაშინ რომ დაწყებულიყო, დღეს ავტორებს საინტერესო ეპილოგის საშუალება მიეცემოდათ. ბოლო ხანს იმდენად აქტუალური გახდა გიო ქინქლაძის სხვა გუნდში გადასვლის საკითხი, რომ ლამისაა, ყოველდღე მანჩესტერს დავურეკოთ, ანაც ჩვენმა იქაურმა კორესპონდენტებმა ახალი ინფორმაცია გვაახლონ. სად ითამაშებს გიო? კითხვა ბუნებრივია, ასევე პასუხიც — ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა. და ასე გრძელდება, გრძელდება უსასრულოდ. თუმცა, უეჭველია, ყოველივე ეს დასრულდება. როდის? — კვლავ კითხვა. როგორც გიო ქინქლაძემ გუშინ გვითხრა, ლის გადადგომის შემდეგ უფრო მეტად აქვს შანსი, გუნდი სეზონის გასრულებამდე დატოვოს. ლის თანამდებობიდან წასვლა ჩემთვის ხელსაყრელია, ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყოო. ასეთ დაძაბულობაში გიოს ახალი კლუბის ვინაობა თანდათან აღარავის აინტერესებს, სულ ერთია, ოღონდ კი მოშორდეს ჩვენებური „მანჩესტერ სიტის“. ეს სწრაფად უნდა მოხდეს, მანამ, სანამ გიოს ისიც არ დავიწყებია, რაც იცის. „აიაქსი“, „ლივერპული“, „ლიდსი“, „ევერტონი“, კიდევ ბევრი სხვა კლუბი ეპატიჟება ჩვენებურს. მისი პასუხი კი ასეთია — „ლიდსი“ და „ევერტონი“ არ მინდა, „ლივერპული“ სეზონის ჩამთავრებას ელის, „აიაქსი“ დღედღეზე „სიტის“ პრეზიდენტ ფრენსის ლის უნდა მოლაპარაკებოდა. გიო ფიქრობს, სად ითამაშოს. ხმაც სევდანარევი აქვს, წასვლა უნდა, მაგრამ... ამასობაში კლუბის ხელმძღვანელობასთან კონფლიქტებიც მომწიფდა. ჯერ იყო და, „პორტ ველთან“ თამაშისას გიოს „სიტის“ მწვრთნელ ჯო როილისთვის უთხოვია, ფეხი მტკივა, არ მათამაშოო, როილი კი ვირზე შემჯდარა, როგორ თუ არა, ისე ითამაშებ, როგორც დაგიბარებიაო. „სიტიმ“ წააგო. მარცხით განაწყენებულ მწვრთნელს ყველაფერი ქინქლაძისთვის გადაუბრალებია. გიოსაც მკვახედ მიუგია, თავი დამანებე, ხომ იცი, თამაში აღარ მინდაო. მოკლედ, მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა დაიძაბა, გუშინ კი კულმინაციასაც მიაღწია. ლის გადადგომამდე რამდენიმე საათით ადრე როილთან ხელმეორედ და მწვავედ უკამათია. ქინქლაძემ ჯოს უთხრა — ჩემი იმედი ნუღარ გექნება, „სიტის“ შემადგენლობაში აღარ ვითამაშებ, მხოლოდ ვარჯიშებზე მოვალ, რათა ფორმა შევინარჩუნოო. პრეზიდენტყოფილ ლისაც ესმოდა მისი მდგომარეობა. ბოლო-ბოლო, „სიტის“ ნაუფროსალმა გიოს უთხრა, თანახმა ვარ, წადი, სადაც გინდა, ოღონდ 8 მილიონ გირვანქას არავინ იძლევაო. ახლა უკვე ლის აღარავინ აღარაფერს ეკითხება. ისე, ამხელა თანხის არგადამხდელთა შორის ამსტერდამის „აიაქსიცაა“. ლის სიტყვებს თუ ვენდობით, იგი დაკლებას აპირებდა, თავადაც ხვდებოდა, სეზონის ბოლო ახლოვდებოდა და ფულის ასაღებად ქინქის გაყიდვა უნდა მოესწრო. ისიც გავიგეთ, რომ ამსტერდამელებიც, „ლივერპულის“ მსგავსად, სეზონის დამთავრებას ელიან, „სიტისთან“ მოლაპარაკებასაც აღარ ჩქარობენ. მაშ, დარჩა ქინქლაძე ისევ „სიტიშიო“, იფიქრებთ. არა, სულაც არაა გამორიცხული, ეგებ დარჩეს კიდეც. თუმცა, გარანტია არსებობს, რომ მომავალ სეზონში მანჩესტერელთა კლუბში მხოლოდ ორი ქართველი დარჩება — ესეც გიოს სიტყვებია. თუ მართლაც ასე მოხდა, სერიალის ოსტატებს კვლავ ეძლევათ შესაძლებლობა, სეზონის ბოლომდე კამერები მოიმარჯვონ. მერე რა, რომ გვიანია... შანსი ახლა უფრო, ვიდრე ქინქლაძის მყიდველი ლის დროს.



ფრენსის ლი გადადგა

ახლა ლის გადადგომის თაობაზეც გეტყვით. წარსულში „სიტისა“ და ინგლისის გმირი ფრენსის ლი კლუბის პრეზიდენტის თანამდებობაზე „მეინ როუდის“ ფანების დაჟინებული მოთხოვნით მოვიდა 1994 წლის იანვარში. ქომაგებს მისი იმედი ჰქონდათ, მაგრამ მისი გაპრეზიდენტებისთანავე რეგრესი აშკარა იყო. „სიტი“ პრემიერლიგიდანაც გავარდა და ახლა პირველს ვინლა ჩივის, ერთი ნაბიჯი აკლია მეორე ლიგაში გავარდნამდე. გადადგომის მიზეზად ფრენსის ლიმ ოჯახი, ბიზნესი და პირადი საქმეები დაასახელა. განაცხადა, რომ მისთვის ძალიან მტკივნეულია თანამდებობიდან წასვლა — ჩემი ამბები ბოლო ხანს მეტისმეტად აირია. შეუძლებლად და უპერსპექტივოდ მიმაჩნია პოსტზე დარჩენა. ყველაფერთან ერთად მე სააქციო საზოგადოების დირექტორობაზეც უარს ვამბობ, თუმცა კი, კლუბის აქციათა 13 პროცენტის გაყიდვას სულაც არ ვაპირებო — დაამატა ლიმ, რომლის ადგილას ლონდონელი ბიზნესმენი დევიდ ბერნსტაინი დაინიშნა. ხოლო მისი მოადგილეობა იმ ჯონ უარდლს დაავალეს, რომელმაც ბერნსტაინთან შეთანხმებით და ლის დაუკითხავად ფრენკ კლარკს დაატოვებინა კლუბის მწვრთნელის პოსტი და მის ნაცვლადაც ჯო როილი მოიყვანა. როგორც ახალმა პრეზიდენტმა თქვა, ლი მაინც საკუთარი განცხადებით წავიდაო. მანვე დასძინა, დიდი პატივია „სიტის“ პრეზიდენტობა, ვეცდები, კარგად ვიმუშავო და დიად გუნდს ძველი დიდება დავუბრუნოო. ყოველივე ბერნსტაინმა სიტელ ფანებს უთხრა, აი, ქართველებს კი რას და როდის გვახარებს, არავინ უწყის.

**კოგა ინასარიძე**

# შელია ისვენებს



საქართველოს ნაკრების მცველი მურთაზ შელია მძიმედ დაშავდა — მუხლის მყესები გაუწყდა და მისივე თქმით, სულ ცოტა, თვენახევარი შინ მოუწევს ნებივრობა. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ საეჭვოა ჯვარედინი იოგების ამბავიც. თუ მურთაზი ამანაც შეაწუხა, მაშინ ექვსთვიანი უსაქმურობა განაღდებული აქვს.

# გიორგაძე ვარსკვლავეთში მეორეა

რომელი ერთი ვთქვათ იმ უამრავი გასაჭირიდან, ჩვენი სპორტსმენების დღევანდელი სვე რომ გაუმწარებია, ქართველ ტანმოვარჯიშეებს არ აწუხებდეთ, „ვაი, ჩვენს ამნაირ ყოფას“ ესენიც სხვებივით ძალიან გაუტანჯავს, მაგრამ ნიჭი მაინც ნიჭია და წვალებწვალებით მუშაკობასაც გააქვს ხოლმე თავისი. აგერ, ილია გიორგაძის მაგალითი: 13-16 მარტს „მსოფლიოს ვარსკვლავებად“ წოდებულ ტანმოვარჯიშეთა ტრადიციულ მოსკოვურ ტურნირზე ილიამ მეორე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. იგი პირველი იყო ძელზე, მეორე — ორძელზე, მესამე — რგოლებზე. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ თბილისის მერიასთან არსებულ ტანმოვარჯიშეთა სკოლაში მწვრთნელ ნიკოლოზ ჭანტურიასთან მოვარჯიშე გიორგაძე შარშან სერიოზულადაც დაშავდა, მისი ეს ისედაც ერთობ დასაფასებელი წარმატება უფრო გასახარი და პატივმისაგებია.

# დღეს მოსკოვში: სპარტაკი vs აიაქსი

# ქართველის თავი 100 მილიონი ღირს

**ბადრი კეთილაძე**
**მოსკოვიდან**

ორიოდ კვირის წინ დამწუხრებული შოთა არველაძისა და გახარებული სერგეი გორლუკოვიჩის ფოტომ ლამის მთელი მსოფლიოს პრესა მოიარა. ეს ფოტო „აიაქს“ — „სპარტაკის“ შეხვედრის ყველაზე მეტყველი სიმბოლო გახლდათ. ხომ გახსოვთ, რა წააწერა ამ სურათს რუსულმა ყოველდღიურმა „სპორტ-ეკსპრესმა“ — როცა სერგეი გორლუკოვიჩი საკავშირო ჩემპიონატში თამაშობდა შოთა არველაძე ჯერაც არ დადიოდა სკოლაში. სამშაბათს 36 წლის მრავლისნახველმა ევროპელმა მგელმა 25 წლის ამომავალ ვარსკვლავს ჭკუა ასწავლა — რა ქვეტექსტი ჰქონდა ამ ვითომდა უპრეტენზიო, ჩვეულებრივ ტექსტს? ან რა ჭკუა ასწავლა ბებრუკმა გორლუკოვიჩმა შოთას? ძნელი მისახვედრი არაა, ეს წარწერა სცილდება ერთი უბრალო, საფეხბურთო სურათის ჩარჩოებს. მასში პოლიტიკური საგულისხმოა ვითომ დაფარული, ამ დროს კი გამოაშკარავებული.

ჩვენი რომაა, იმიტომ არა, შოთა 3 მარტის მატჩში ნამდვილად საუკეთესო იყო. სჯობდა არა მარტო თანაგუნდელებს, არამედ მეტოქის ფეხბურთელებსაც. ვისაც ფეხბურთის რამე გაეგება და გუნდის თუ მოთამაშის ძალას მშრალი ციფრებით არ საზღვრავს, წესით ყისმათა შირკოს დუბლს შოთას საზრიან თამაშთან შეწყვილებული კენტი გოლი უნდა ერჩიოს. უნდა ერჩიოს, მაგრამ ამას ვერავის დააძალებ. აი, ფეხბურთის პოლიტიკაში არევა კი გვარიანი პოლიტიკური სიბეცეცაა და დიდი ცოდვაც. არა, ფეხბურთი თავისთავად პოლიტიკის ნაწილი ყოფილა და იქნება, მაგრამ დაუკრეფავში გადასვლაც, მეტი რომ არ ვთქვათ, არაკორექტულია...

დღეს მოსკოვში საფეხბურთო მატჩია. საფეხბურთო კია, მაგრამ სავარაუდოდ ჰოკეის არენაზე შედგება. გუშინ-გუშინწინ მუქთი მუშა-ხელი, რუსი სამხედროები თოვლისგან ასუფთავებდნენ „დინამოს“ სტადიონის მინდორს. მაგრამ რას მოუხერხებენ გადაყინულ მინდორს? ზოგისთვის ეს იქნებ ზედმეტი წუწუნია, მაგრამ ჩვენ მათი გაგვკვირვებია, ვინც საბჭოურ წლებში მოსკოვურ მანეჟებს წყევლიდა, ახლა კი ესენგეს თასზე ხალისით გარბის და...

არა, საფეხბურთო მატჩი, ძველი აფიშებისა არ იყოს, ნებისმიერ ამინდში უნდა შედგეს. ალბათ შედგება კიდეც, რადგან რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს მინდვრის საფარი „აიაქსი“ თამაშს არ იუარებს.

ამსტერდამელები გუშინ შუადღისას, საათნახევრის დაგვიანებით ეწვივნენ მოსკოვს და სასტუმრო „სოფიტელში“ დაბინავდნენ.

სხვათა შორის, „სპარტაკიც“ ახლახან, გუშინწინ დაბრუნდა დედაქალაქში სამხრეთული შეკრებიდან. რუსი ფეხბურთელები სოჭში სტალინის ყოფილ აგარაკზე ემზადებოდნენ, რომელსაც ახლა „ზელიონაია როშჩა“ ჰქვია. სოჭში ყოფნისას ამსტერდამში ორი გოლის გამტან ალექსანდრ შირკოს აჩვენეს ბელადის ცვილის ფიგურა. „მოსკოვსკი კომსომოლეცის“ ცნობით ჯერ მხოლოდ თავის რესტავრაციაა ჩატარებული, რაც 100 მილიონი მანეთი დაჯდა.

გუშინწინ „დინამოს“ სტადიონს „სპარტაკის“ ქომაგთა არმია მიაწყდა. სტადიონის დირექცია იძულებული შეიქნა, ბილეთები, 50 ათასიდან 100 ათას მანეთამდე რომ ღირდა, ვადაზე ერთი დღით ადრე გაეყიდა. ამიტომ, გუშინ შავ ბაზარზე ორ-სამჯერ მეტის გადახდაც უწევდათ. სამაგიეროდ გადემოკრატიულებულ მოსკოვში შეგიძლიათ 2 ათას მანეთად წაბილწოთ რევოლუციის მოედანი. პირდაპირ დიდი თეატრის წინ კომერციულ ტუალეტია.

გუშინ პირველმა „სპარტაკმა“ ივარჯიშა, ოღონდ ამას უფრო ნახევარსაათიანი მოთელვა ეთქმოდა. სამაგიეროდ სრული დატვირთვით ივარჯიშა „აიაქსმა“, მოთელვას ორი გოლიც მოაყოლა და კარშიც ურტყა. გამონაკლისი ტრავმირებული იარი ლიტმანენი და ტიჯანი ბაბანგიდა იყვნენ, რომლებმაც მხოლოდ მინდორს შემოურბინეს. ამსტერდამელთა შორის არ ჩანდა პორტუგალიელი ნახევარმცველი დანი.



ეგებ მოხდეს სასწაული: ამაღამ შოთა ასე გახარებული ვნახოთ

გუშინ „დინამოს“ სტადიონზე პირველი იერიში „აიაქსის“ ფანებმა მიიტანეს და პეტროვსკი პარკს მანამ არ მოსცილებიან, სანამ ჰოლანდიელ ფეხბურთელებს შოთა და ლიტმანენი არ გამოეცხნენ და მიესალმნენ.

ვარჯიშის შემდეგ შოთა არველაძეს ჟურნალისტებიც შემოეხვივნენ და პირველად მიოუდნის საფარზე ჰკითხეს აზრი.

— მწვანე მინდორზე მოგვიგეს და აქ რა შანსი გვაქვს? „სპარტაკი“ 80 პროცენტით ნახევარფინალშია, თუმცა ჩვენსას მაინც ვეცდებითო.

ჰოლანდიელმა ჟურნალისტებმა ერთხელაც დაადასტურეს ბოლო დროს პრესაში მოარული ხმა ქინქლაძის „აიაქსში“ გადასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილიაო.

სინოპტიკოსები დღეისთვის მოსკოვში ულრუბლო ამინდსა და 0..+1 გრადუს ტემპერატურას ვარაუდობენ. ვისთვის მოიწმინდება და ვისთვის მოიღრუბლება მოსკოვის ცა, ამ საღამოს გამოჩნდება.

თამაში თბილისის დროით 22 საათზე დაიწყება ტელერეპორტაჟს ოერტე გვგმავს

# 16 ტური

# პირველად იყო დუმილი

**ჩემპიონატი ზარ-ზეიმით არ განახლებულა. პირიქით, შვიდ ქალაქში პირველად იყო დუმილი — წუთი, ნოდარ ახალკაცისთვის პატივის მისაგები. მერე კი საკუთარი თავის პატივისმცემელი ყველა გუნდი საქმეს შეუდგა.**

**პირველი შთაბეჭდილება შესანიშნავია. იყო ბრძოლა და ცოტა, მაგრამ ბრძოლითვე მოპოვებული გოლები. 8 სტადიონზე თავშეყრილმა პუბლიკამ ჯამში სულ 11 გოლი იხილა, მაგრამ გაწბილებული ცოტა თუ დარჩებოდა.**

### მოვლენა

**რუსთავი 0:1 დინამო**

ეს ცოტა, რუსთავის „ფოლადზე“ მისული მაყურებელი გახლდათ, არადა, „დინამოსგან“ ყველანი ნაირნაირი სტილით გატანილ ბურთებს ელიან, ერთია, რომ ამას ჩემპიონი გადახალისებულ, სახე-სახელ შეცვლილ „რუსთავთან“, გინდა თუ არა, ვერ შეძლებდა და მეორეა, რაც შეეძლო, ისიც რომ ვერ გაიტანა. არა, გაცუდებულ საგოლე მომენტებზე როდია ლაპარაკი, არამედ პენალტზე, თერთმეტმეტრიანი დარტყმა ხომ 99 პროცენტით გოლია. წელს „დინამომ“ მეორედ ვერ შეძლო ნიშნულიდან კარის აღება. მანამდე ეს სამტრედიაში, თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში მოხდა და თბილისელებმა კიდეც წააგეს. რუსთავში კი ჩემპიონს შეცდომის უფლება ჰქონდა, რადგან უკვე 1:0 იგებდა. და მაინც, შაბათის მატჩის შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლებოდა „დინამოს“ თავიც წაეგო. ასეც რომ არ იყოს, პენალტი იმისაა, რომ გაიტანო, კარში რაც არ უნდა ძლიერი გოლკიპერი მამუკა ქორიძე იდგეს.

**სიონი 1:0 ბათუმი**

### სკანდალი და მოულოდნელობა

ისე როგორ იქნებოდა, ბოლნისში ფეხბურთმა უსკანდალოდ თუ არა, უხმაუროდ ჩაიაროს. ხშირად მნიშვნელობაც არა აქვს, მასპინძელს ცხრილის რომელ სვეტში შეეცვლება მაჩვენებელი. „ისტორიულად“ „სიონს“ სკანდალური მეტოქენიც ჰყავს. ესენი უპირველესად „კოლხეთი“, „მერანი“ და „ბათუმია“. გეხსომებათ, შარშანდელი თასის ფინალს ჩრდილი რომ მიადგა. ფინალისწინა, საჩემპიონატო მატჩი „ბათუმმა“ ბოლნისში შუა თამაშისას მიატოვა, მაშინ, როცა 0:1 აგებდა. თუმცა, ზავი აქ ყოვლად ზედმეტი სიტყვაა. ბოლნისში გაფრთხილებული თუ გაძევებული სამი ფეხბურთელი თასისთვის ბრძოლას გამოაკლდებოდა, ნოდარ ახალკაცს ბათუმელებისადმი ლოიალობა რომ არ გამოეჩინა.

ახლაც ბოლნურ მატჩს მშვიდად არ ჩაუვლია. მსაჯთა მტკიცებით, „სიონმა“ წესების დაცვით მოუგო „ბათუმს“, მაგრამ სტუმრები თვლიდნენ, გოლი თამაშგარედან გავიდაო. ვერა გააწყეს. აჭარელთა მარცხი მეორე წრის პირველივე მატჩში ნამდვილად მოულოდნელობა იყო. ზღვისპირელებს ჩემპიონობის ერთ-ერთ კანდიდატად რაცხენ და ასეთი იაღლიში არ ეპატიებათ. „ბათუმის“ მარცხი იმის გათვალისწინებითაც მოულოდნელია, რომ „სიონი“ მინუს ხუთის ჩაუთვლელად ჩემპიონატის მერვე გუნდია.

### გმირი

**რევაზ გლუნჩაძე**

ხაშურელი გლუნჩაძე ამ გაზაფხულზე „თორიდან“ გადავიდა „ოდიშში“. და პირველივე მატჩში „მაღაროელთან“ ჰეთ-თრიქიც შეასრულა. ამაში დიდად გასაკვირი იქნება არც არაფერი ყოფილიყო, რომ არა ერთი გარემოება. გლუნჩაძეს აქამდე პირველ ჯგუფში 45 მატჩი ეთამაშა და სულ 6 გოლი შეეგდო, წყვილად კი ერთადერთხელ, ყვარლის „დურუჯთან“ გაეტანა. „ოდიშის“ ახალწვეულმა საკუთარ მონაგარს მისი ნახევარიც შემატა და თანაც ეს გასვლით მატჩში მოახერხა.

**ამ ტურს არ ჰყოლია**

### ანტიგმირი

## გაორკეცებული ენერგიით

მეორე წრის პირველ ტურში „ბათუმის“ ძლევამ ბოლნისური კლუბის ხელმძღვანელები ძლიერ გაახარა. ახლა უკვე საჯაროდ ამბობენ, „სიონი“ უეჭველად უძლიერესთა შორის უნდა დარჩესო. დარჩენას კი ფული უნდა. ენთუზიაზმის ხარჯზე ფეხბურთელები ორიოდ მატჩს თუ ითამაშებენ, მესამეზე კი სულაც არ წავლენ. მსგავსი ფაქტის წინაშე ბოლნისელები არაერთხელ მდგარან.

იმედია, ახლა ასე არ იქნება. ყოველ შემთხვევაში, საქმეს სხვა პირი უჩანს. ფეხბურთელები არ წუწუნებენ, ხელფასები არ აგვიღიაო და ფოთშიც გასვლით თამაშზე წინა დღეს ჩადიან. მოკლედ, ადრინდელთან შედარებით აშკარა პროგრესი იგრძნობა.

„ბათუმთან“ თამაშისას ანზორ გძელიძემ ერთი ახალწვეული ვერ გამოიყენა. ჯაბა წიკლაური „სიონის“ განაცხადში შეყვანილი კი გახლავთ, მაგრამ რუსეთის ფეხბურთის ფედერაციისგან სატრანსფერო ფურცელი ვერ მიუღიათ და ფეხბურთელის დამტკიცებაც ამიტომ ჯანჯლდება. შეგახსენებთ, რომ ჯაბა წიკლაური გასულ სეზონში კრასნოიარსკის „მეტალურგისთვის“ ირჯებოდა. იქ კონტრაქტი დაუმთავრდა და ახლა „სიონს“ დაეხმარება დასახული მიზნის მიღწევაში.

გძელიძეს კიდევ ერთი ახალწვეული ჰყავს — რუსთაველი დათო ბერიძე. გაიოზ დარსაძის გუნდში მისთვის ადგილი ვერ მოინახა, ახლა „სიონში“ სცდის ძალას და, სავარაუდოდ, ხვალ ფოთელთა წინააღმდეგაც ითამაშებს.

### მეორე ჯგუფი

XVI ტური

სამეგრელო — იბერია (ს) 0:3
კოდაკო — ივერია 0:1
იმერეთი — მეშახტე 0:3
იბერია (ქ) — ცხინვალი 0:3
ფაზისი — მერცხალი 2:0
თორი — ასკ 0:5
საპოვნელა — სქური 2:0
კოლხეთი — აკადემია 1:0

მეორეჯგუფელებს მეორე წრე განუახლდათ და საპირველჯგუფო საგზურების მაძიებელმა გუნდებმა პირველი გამარჯვებებიც მიითვალეს. მოგება მხოლოდ „ივერიას“ გაუჭირდა. ხაშურელებს ახალგაზრდა თბილისელებმა გვარიანად აღრევინეს ოფლი. არმიელებმა და სამტრედიელებმა შეკრებაგაუვლელი და მოუმზადებელი მეტოქეები ადვილად ძლიეს, თანაც სტუმრად. მოკლედ, პირველი ჯგუფის მაძიებლები არ შეცვლილან.

და მაინც, ბევრი რამ 19 მარტს გაირკვევა. ამ დღეს ხაშურში „ივერია“ სამტრედიულ კლუბს უმასპინძლებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 16 | 14 | 2 | 0 | 57:10 | 44 |
| ივერია | 16 | 12 | 2 | 2 | 47:15 | 38 |
| იბერია (ს) | 16 | 11 | 3 | 2 | 37:15 | 36 |
| კოლხეთი | 16 | 10 | 2 | 4 | 32:23 | 32 |
| ცხინვალი | 16 | 10 | 0 | 6 | 41:23 | 30 |
| თორი | 16 | 8 | 3 | 5 | 36:24 | 27 |
| მერცხალი | 16 | 8 | 1 | 7 | 29:29 | 25 |
| სქური | 16 | 8 | 1 | 7 | 27:36 | 25 |
| აკადემია | 16 | 8 | 4 | 4 | 38:19 | 23 |
| ფაზისი | 16 | 7 | 1 | 8 | 29:32 | 22 |
| მეშახტე | 16 | 5 | 2 | 9 | 27:27 | 17 |
| სამეგრელო | 16 | 4 | 2 | 10 | 19:41 | 14 |
| კოდაკო | 16 | 3 | 1 | 12 | 15:39 | 10 |
| იმერეთი | 16 | 2 | 1 | 13 | 20:62 | 7 |
| საპოვნელა | 16 | 2 | 0 | 14 | 16:52 | 6 |
| იბერია (ქ) | 16 | 3 | 1 | 12 | 19:42 | 5 |

## ფეხბურთის რუკასთან



**იუგოსლავიის** ნაკრების მოთამაშე ზორან ნიეგუსი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“ ინგლისში, ბირმინგემის „ასტონ ვილაში“ გადადის. ნიეგუსი 24 წლის ნახევარმცველია, რომელსაც იტალიური „სამპდორიას“ და „იუვენტუსის“ გარდა რამდენიმე გერმანული კლუბიც ეპატიჟებოდა, მაგრამ ბელგრადული პრესის ცნობით მან ყველაფერს ლა მანშს გაღმა წასვლა ამჯობინა.

**სლოვაკეთის ჩემპიონატის მე-18 ტური. სლოვანი — სპარტაკი 0:0, კოშიცე — ჰუმენე 3:2, ტრენცინი — ტატრანი 1:1, დუკლა ბანსკა — რუჟომბეროკი 0:0, დუნაისკა სტრედა — ჟილინა 1:1, ბარდეიოვი — ლოკომოტივი 1:0, პეტრიმექსი — ტაურისი 1:0, არტმედია — ინტერ ბრატისლავა 2:0. 44 ქულით ლიდერობს ტრნავას „სპარტაკი“, ერთი ქულით ნაკლები აქვს „კოშიცეს“, ხოლო მესამე ადგილზე მყოფი ბრატისლავის „ინტერი“ 36 ქულიანია.**

**გამბიის** გუნდი „ჰოკსი“ 20 მარტს აფრიკის თასთა თასზე ალჟირულ „უნიონ სპორტივ დე მედინას“ უნდა დასჭიდებოდა, მაგრამ უფულობამ შარში გახვია. „ფედერაცია მოთამაშეებისა და მწვრთნელ-დირექტორების სამგზავრო ხარჯებს ვერ შოულობს“ — განუცხადა სააგენტო „როიტერს“ გამბიის ფეხბურთის ფედერაციის მავანმა ჩინოსანმა. მანვე დასძინა, რომ ფედერაციას კარგად მოეხსენება ასეთი შემთხვევებისთვის დაკანონებული ჯარიმის ამბავი, მაგრამ მაინც ასე უჯობს.

**რუმინეთის ჩემპიონატის 24-ე ტური. ოცელული — ნასიონალი 2:2, უნივერსიტატია კლუჟი — ფორესტა 1:1, გლორია — უნივერსიტატია კრაიოვა 2:0, სპორტული — რაპიდი 0:4, პეტროსანი — რესიტა 1:1, პეტროლული — არგესი 2:3, ფარული — დინამო 2:1, ჩაჰლაული — ჩინდია 2:2, სტიაუა — ბაჩაუ 1:0. 57 ქულით ცხრილის სათავეშია „სტიაუა“, 55 ქულით მეორეა „რაპიდი“, ხოლო მესამე ადგილზე 52 ქულიანი „ოცელულია“.**

**ბრაზილიელი** ჟუნინიო ესპანეთში დაბრუნდა და იმედოვნებს, რომ ამ ქვეყნის პრიმერა დივიზიონის ჩემპიონატის დამთავრებამდე მოედანზე დაბრუნებას შეძლებს. მადრიდის „ატლეტიკოს“ ნახევარმცველს მშობლიურ სან პაულუში შაბათს 15 წუთიანი ოპერაცია გაუკეთეს. „იმედგაცრუება წარსულმა ჩაიბარა და გული სიხარულით მაქვს სავსე. ვიმედოვნებ, რომ სეზონის ბოლომდე დავუბრუნდები სარბიელს — უთხრა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ესპანელ ჟურნალისტებს. საქმე ის გახლავთ, რომ როდესაც 1 თებერვალს „სელტასთან“ თამაშის დროს ჟუნინომ ფეხი მოიტეხა, ექიმებმა თქვეს, ამ კაცის საქმე ზაფხულამდე წასულიაო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სასიკეთოდ მიდის.

**ბულგარეთის ჩემპიონატის მე-19 ტური. ლიტექსი — ცსკა 2:0, ლოკომოტივი — სპარტაკი 2:0, ლევსკი — ოლიმპიკი 3:0, მეტალურგი — მინიორი 2:3, ვარნა — სლავია 0:0, პლოვდივი — ეტურ ველიკო 4:1, კიუსტენდილი — დობრუჯა 1:0, ნეფტოხიმიკი — ბოტევი 2:0. 48 ქულით ჩემპიონატს ლიდერობს „ლოტექსი“, 43 ქულით მეორე ადგილზეა სოფიის „ლევსკი“, 41 ქულიანი „ნეფტოხიმიკი“ კი მესამე ადგილზეა.**

**გერმანული** „ბაიერნის“ იტალიელი მწვრთნელის ჯოვანი ტრაპატონის გაცეცხლებულმა პრესკონფერენციამ რადიოს თანამშრომლებს შთაგონება გაუღვიძა. მათ ტრაპატონის ფრაზები ისე დაამონტაჟეს, რომ რეპის ჟანრის სიმღერა გამოვიდა. ყოველ სიმღერას სახელწოდება სჭირდება. არც ეს სიმღერა დარჩა დაჩაგრული, მას „ტრაპის რეპი“ დაარქვეს. აღსანიშნავია, რომ ზოგადად თავდაჭერილი ტრაპატონი გერმანული მასმედიის ერთობ საყვარელი გმირია, რაც ნაწილობრივ იმითაცაა გამოწვეული, რომ იგი ერთობ ამტვრევს გოეთეს და შილერის ენას, რაც ყოველთვის სახალისოა. ჟურნალმა „კიკერმა“, მაგალითად, იტალიელის პრესკონფერენციაზე ნაუბარი სტილისტური და გრამატიკული ჩარევის გარეშე გამოაქვეყნა და მას იშვიათი დოკუმენტი უწოდა. ახლა ისიც გავიხსენოთ, თუ რატომ გამძვინვარდა ტრაპატონი. მოგეხსენებათ, იგი, უფრო სწორად კი მისი ტაქტიკა, „შალკესთან“ შეხვედრაში სამმა ფეხბურთელმა მარიო ბასლერმა, მეჰმეტ შოლმა და თომას შტრუნცმა საჯაროდ გააკრიტიკეს, არადა, კლუბში ყველანი მოლაპარაკებულნი იყვნენ, რომ ტაქტიკის და ტექნიკის საკითხებზე საქვეყნოდ არ იმსჯელებდნენ.

**დანიის ჩემპიონატის მე-19 ტური. სილკებორგი — ბრონდბიუ 1:2, ოლბორგი — ორჰუს ფრემადი 3:1, ორჰუსი — ვეილე 0:1, კოპენჰაგენი — AB კოპენჰაგენი 2:1, ჰერფოელგე — იკასტი 2:1, ოდენსე — ნუნგბიუ გადაიდო. 43 ქულით ჩემპიონატს ლიდერობს „ბრონდბიუ“, „კოპენჰაგენი“ 39 ქულით მეორე ადგილზეა, ხოლო 36 ქულიანი „სილკებორგი“ მესამეზეა.**

**პოლონეთის** ჩემპიონატის მე-19 ტური. ლეხი — ვიძევი 1:3, პოლონია — სტომილი 2:1, ოსტროვეცი — ზაგლებიე 0:1, ამიცა — რაკოვი 2:1, პეტროხიმია — რუხოვი 1:3, პოგონი — გროსლინი 2:1, გკს — ოდრა 5:1, ლკს — გურნიკი 2:0, ლეგია — ვისლა 1:0. 37 ქულით ჩემპიონატს ლიდერობს ლოძის ლკს, 36 ქულით მეორეზეა მისი თანაქალაქელი „ვიძევი“, ხოლო მესამეზე 35 ქულით ვარშავის „ლეგიაა“.

**კვიპროსის ჩემპიონატის მე-19 ტური. ანორთოსისი — აპოელი 1:0, ომონია — ეთნიკოსი 8:0, აპოლონი — ლარნაკა 2:0, ეთნიკოსი — აელი 1:1 პირველ ადგილზე მყოფ „ომონიასა“ და მეორეზე მყოფ „ანორთოსისს“ 47 ქულა აქვთ, მესამეზე 44 ქულიანი „აპოლონია“.**

**რუსი** ნახევარმცველი იგორ ლედიახოვი ხიხონის „სპორტინგმა“ იაპონურ „იოკოჰამა ფლუგელს“ ათხოვა წლის ბოლომდე. ლედიახოვი 29 წლისაა. იგი „სპორტინგში“ 1994 წლიდან თამაშობს და დეკემბერში გუნდის ახალ მწვრთნელად ხოსე მარია დიას ნოვოას მისვლამდე პატივსაც სცემდნენ. ახლა სხვა მდგომარეობაა. „ლედიახოვის წასვლა ყველასთვის კარგია“ — თქვა მწვრთნელმა.

**ესპანური** გაზეთის AS-ს თქმით მადრიდის „რეალი“ გერმანელ მწვრთნელს იუპ ჰაინკესს თანამდებობიდან აუცილებლად გაუშვებს და მის მაგივრად მიიწვევს ან ტერი ვენეიბლზს ან რუუდ გულიტს ანაც არგენტინის ნაკრების დღევანდელ თავკაცს დანიელ პასარელას. ამბობენ, „სამეფო გუნდის“ პრეზიდენტს ლორენსო სანსს მარჩელო ლიპი ურჩევნია, მაგრამ ლიპი „იუვენტუსიდან“ წამსვლელი არ არისო. ვენეიბლზი ამ ზაფხულზე ავსტრალიის ნაკრებთან კონტრაქტს ამოწურავს და წავა თუ არა ლონდონის „კრისტალ პალასში“, თვითონ არ იცის. რაც შეეხება გულიტს, მას „ჩელსიდან“ წასვლის შემდეგ ბევრი კლუბი ეპატიჟება, მათ რიცხვში „პარი სენ ჟერმენი“. პასარელა მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ უთუოდ ახალ სამსახურს დაუწყებს ძებნას.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის კლუბი „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“ ერთი მოთამაშით მეტი გახდა. მან საცოდავი „მანჩესტერ იუნაიტედის“ [illegible] მანჩესტერელთა წინა მწვრთნელის ფრენკ კლარკის ხელში ცოტა გაიხარა — 9 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**ბულგარეთში „ლევსკის“ ტექნიკურმა დირექტორმა ანდრეი ჟელიაზკოვმა ერთ-ერთი თამაშის შემდეგ მსაჯს მუშტი-კრივი რომ გაუმართა, ადრე გაუწყვეთ. ახლა გეტყვით, სასჯელის ამბავსაც: ჟელიაზკოვი ერთი წლის მანძილზე სათადარიგოთა სკამზე ვეღარ დაბრძანდება და თან 24 ათას ლევს ანუ 132 დოლარს გადაიხდის. იმედია, არ გაღარიბდება.**

**ნიგერიაში** თქვეს, განასთან ამხანაგურ შეხვედრას აღარ გავმართავთ, რამეთუ აფრიკელი ძმები გუნდს ვერ კრებენო. „განელებმა შეგვატყობინეს, რომ 25 მარტს გუნდს ვერ გამოიყვანენ“ — თქვა ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა აბდულმუმინი ამინუმ, რომელსაც გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ჰყავს მოსამზადებელი. განელები კი აფრიკის თასზე პირველსავე რაუნდში გამოვარდნენ და ეტყობა, ამან საქმეები აუწეწათ. ახლა ნიგერია განას შემცვლელს ეძებს.

**ჩეხეთის ჩემპიონატის მე-19 ტური. ბობი — ბანიკი 2:0, ჰრადეცი — სლავია 0:1, იაბლონეცი — სლოვანი 2:1, სპარტა — ბოჰემიანსი 1:0, ტეპლიცე — ვიკტორია 0:1, პლზენი — დუკლა 4:3, კაუჩუკი — პეტრა 3:0, სიგმა — ჩესკე ბუდეიოვიცე 1:0. პირველ ადგილზე 42 ქულით პრაღის „სპარტაა“, 38 ქულით მეორეა იმავე ქალაქის „სლავია“, ხოლო მესამეზე 31 ქულიანი „ბობია“ ქალაქ ბრნოდან.**

**ხორვატიის** ჩემპიონატის 22-ე ტური. კროაცია — ზაგრები 3:0, ჰაიდუკი — მლადოსტი 3:2, სამობორი — სლავენი 5:1, რიეკა — ჰრვატსკო დრაკოვოლიაჩი 1:0, სიბენიკი — ზადარკომერჩი 1:1, ოსიეკი — ვარტეკსი 1:0. ეს ტური პლეი-ოფების წინ ბოლო იყო. პირველ ადგილზეა 49 ქულიანი „კროაცია“, მეორეზე 43 ქულით „ჰაიდუკია“, მესამეზე 41 ქულით „ზაგრები“.

**იაპონიაში** პირველი პრიზი გათამაშდა. შაბათს „კაშიმა ანთლერსმა“ ბოლო წუთზე გატანილი გოლით „ჯუბილო ივატა“ დაამარცხა და ქვეყნის სუპერთასი მოიპოვა. მართალია, თამაშის მოზრდილი მონაკვეთების განმავლობაში უპირატესობას „ჯუბილო“ ფლობდა, მაგრამ ნაკრების მოთამაშის, მცველის ნაოკი სომას საუცხოო დარტყმამ ჯილდო სხვათა ხელში ჩააგდო. ეს გამარჯვება „ანთლერსს“ ერთი კვირის წინ დაწყებულ ჯეი ლიგის პირველობაში ფსიქოლოგიურ უპირატესობას ანიჭებს. გამარჯვებისათვის „ანთლერსმა“ თასის გარდა 230 ათასი დოლარის ექვივალენტური 30 მილიონი იენი მიიღო. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაში გამარჯვებულ გუნდს არ ჰყავდნენ ნეკნგატეხილი ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონი მაზინიო და მისი ფეხმოტეხილი თანამემამულე და ასევე მსოფლიოს ჩემპიონი ჟორჟინიო. სამაგიეროდ ძლიერად ითამაშა ბისმარკმა, ასევე ბრაზილიელმა, რომელმაც მეტოქის კაპიტანს, დუნგას (ცხადია, ისიც ბრაზილიელია და მსოფლიოს ჩემპიონი) აჯობა. თამაში დამთავრდა 2:1.

**სლოვენიის** ჩემპიონატის 21-ე ტური. მარიბორი — პუბლიკუმი 3:1; მურა — ოლიმპია 0:0; ვევჩე — კოროტანი 1:2; პრემორიე — გორიცა 2:1; რუდარი — პორტონიკი 0:0. 44 ქულით ჩემპიონატს ლიდერობს „მურა“, 39 ქულით მეორე ადგილზეა „პრემორიე“, რომელსაც 2 ქულით ჩამორჩება „მარიბორი“.

### EURO 2000
### ჩვენი ჯგუფი

## ოცნებაახდენილნი

ევრო 2000-ის შესარჩევი ტურნირის წილისყრამ, ბელგიის ქალაქ გენკში რომ გაიმართა, მეორე შესარჩევ ჯგუფში საქართველოსთან ერთად ნორვეგიელთა მოხვედრაც ინება. სკანდინავიელები, რომლებიც ზედიზედ მეორედ მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონატში (ის კი საფრანგეთში ასპარეზობა მათთვის მესამე მსოფლიო ჩემპიონატი იქნება), ზაფხულში მიზნად ისახავენ, აუცილებლად დაძლიონ დანავსული პირველი ეტაპი, რომელიც მათთვის წინა ორი ცდიდან აუღებელი გამოდგა.

წარმატებით ასპარეზობა ისეთ დაძაბულ ტურნირში, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია, უდიდესი ძალისხმევის, გამოცდილებისა და, რაღა თქმა უნდა, გუნდის შეწყობილი თამაშის გარეშე შეუძლებელია. ბოლო ორი აუცილებელი პირობის შესასრულებლად კი ამხანაგური შეხვედრები სწორედ რომ მისწრებაა.

ქართველთა დარად ნორვეგიელებმა აქამდე უკვე მოასწრეს რამდენიმე ამხანაგური მატჩის გამართვა. სულ ბოლოს ისინი მარსელში ფრანგებს შეხვდნენ — 3:3. ამჯერად ნორვეგიელები ბელგიელებს დაუპირისპირდებიან. მატჩს 25 მარტს ბრიუსელი უმასპინძლებს.

ნორვეგიელთა მწვრთნელმა ეგილ ოლსენმა ბელგიელებთან სათამაშოდ უძლიერესი შემადგენლობა როდი შეკრიბა. რამდენიმე ისეთი მოთამაშე გამოიძახა, აქამდე გუნდში მოხვედრაზე მხოლოდ რომ უოცნებიათ. „როზენბორგის“ ნახევარმცველმა როარ სტრანდმა კი, ქვეყნის პირველ გუნდში ბოლოს სულაც ოთხი წლის წინ ითამაშა.

გუნდი: მეკარეები — ტომას გილი (დუისბურგი), ფროდ გროდასი (ტოტენჰემი), მცველები — ჰენინგ ბერგი, რონი იონსენი (მანჩესტერი), გუნარ ჰალე (ლიდსი), ერიკ ჰოფტუნი (როზენბორგი), ბენტ სკამელსრუდი (ლევერკუზენი), ნახევარმცველები — ოივინდ ლეონარდსენი (ლივერპული), პეტერ რუდი (შეფილდ უენსდეი), სტალე სოლბაკენი (ოლბორგი), ჰავარდ ფლო (ვერდერი), თავდამსხმელები — ტორე ანდრე ფლო (ჩელსი), ვიდარ რისეტი (ლინცი), ოლე გუნარ სოლსკაერი (მანჩესტერი), როარ სტრანდი (როზენბორგი), ეგილ ოსტენსტადი (საუთჰემპტონი).

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი

# მონაკოში მანჩესტერზე ფიქრობენ

### დორტმუნდი — ბაიერნი

ორი კვირის წინ მიუნხენში, ოლიმპიურ სტადიონზე მასპინძლებმა როგორ ვერ მოახერხეს ტურნირის ბოლო გამარჯვებულის ძლევა, დღემდე გასაკვირია. ნულოვანი ყაიმის წყალობით კი საპასუხო შეხვედრას აზრი შეუნარჩუნდა. ეგ კი არა, დორტმუნდის მატჩისადმი ინტერესი გაასკეცდა. შეძლებს ბუნდესლიგის ლიდერ „კაიზერსლაუტერნს" გვარიანად ჩამორჩენილი „ბაიერნი" ჯერაც ცხრილის შუაში მებრძოლ „ბორუსიის" ძლევას? აი, საკითხი, რომელიც მიუნხენელთათვის, და არა მარტო მათთვის, ოთხშაბათს უმთავრეს პრობლემად იქცევა.

ობიექტურად თუ ვიმსჯელებთ, მეტოქეთა შანსები თანაბარია. მართალია, მიუნხენელებთან შედარებით ლიგის ბოლო გამარჯვებული დორტმუნდელები ჯერაც ვერ არიან სათანადო დონეზე (მხედველობაში მათ მიერ ამჟამად ბუნდესლიგაში დაკავებული ადგილია), მაგრამ მათი ბოლოდროინდელი თამაში იმის იმედს იძლევა, რომ გამოცდილი ნევიო სკალა ჩემპიონატის ბოლოსთვის შეძლებს ძლიერი გუნდის შევსებას. მასპინძლებისგან განსხვავებით, „ბაიერნი" ამ ბოლო დროს სათანადოდ ვერ ირჯება, გარკვეულ მიზეზთა გამო გამოწვეულმა კრიზისმა კი ბუნდესლიგის ჩემპიონთა სატურნირო მდგომარეობაზეც იმოქმედა — ლიდერ „კაიზერსლაუტერნთან" ქულიანი ჩამორჩენა თვალის ერთ დახამხამებაში კატასტროფულად გაიზარდა, რაც, ცხადია, „ბაიერნის" ინტერესებში არა და არ შედიოდა.

სტუმართაგან ბასლერი ხვალ ვერ ითამაშებს, რადგან ბუნდესლიგის ბოლო მატჩში ტერფი მწვავედ დაიზიანა. სათუოა შტრუნცის თამაშიც.

„ბაიერნის" დარად, წამყვან მოთამაშეებს დორტმუნდელებიც მოისაკლისებენ — ავსტრიელი ვოლფგანგ ფაიერზინგერი და შტეფან როიტერი ტრავმირებულნი არიან.

...ორშაბათს დორტმუნდის უდიდესმა გაზეთმა „ვესტფალიშენ რუნდშაუმ" გაავრცელა ცნობა, „ბორუსიას" „მილანის" მცველ კრისტიან ციგეს და „მონაკოს" თავდამსხმელ ვიქტორ იკპებას შესყიდვა სურსო.

### მანჩესტერი — მონაკო

— კვირას გიგზმა უკვე ივარჯიშა, მაგრამ მხოლოდ მსუბუქად. ჯერ ადრეა მისი მთლიანად დატვირთვა, მაგრამ იმედი მაქვს, ოთხშაბათისთვის მზად იქნება. იგი „მანჩესტერს" ძალიან სჭირდება. ჩვენ აუცილებლად უნდა მოვუგოთ მეტოქეს, სხვა გზა არ გვაქვს. გულშემატკივარი ამდენ მარცხს არ გვაპატიებს. ევეც არ იყოს, დროა, წერტილი დავუსვათ კრიზისს — განაცხადა ორშაბათს ოლდტრეფორდელმა მწვრთნელმა, ალექს ფერგიუსონმა.



მონაკო — მანჩესტერი. მოიტანს ფრანგთა ფიქრი შედეგს?

ხვალ „ოლდ ტრეფორდზე", ისევე როგორც ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის მასპინძელ სამ სხვა ქალაქში, მეტად დაძაბული მატჩი იქნება. მანჩესტერულ შეხვედრაზე კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ვერ ითამაშებენ მასპინძელთა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე — გარი პალისტერს ზურგის ტრავმა აწუხებს, ძირითადმა მეკარემ პეტერ შმაიხელმა კი შაბათს ბარძაყი დაიზიანა და ალბათ რამენიმე თამაშს გამოტოვებს. კითხვის ნიშნის ქვეშაა რონი იონსენის და ფილ ნევილის გამოჩენაც — ორივეს ფეხის ტრავმები აწუხებთ და თუ კვლავ გაუმიზეზდათ, შეიძლება უფრო დიდი ხნით გამოვიდნენ მწყობრიდან.

მანჩესტერელთა მეტოქე „მონაკო" ჩემპიონატში დამარცხდა — „ოსერს" მათი ძლევა არ გასჭირვებია 3:1. ამ წაგების მერე საფრანგეთის ჩემპიონატში მონაწილე არაფრანგული კლუბის მწვრთნელმა ჟან ტიგანამ განაცხადა, მარცხი მანჩესტერულ თამაშზე ფიქრმა განაპირობაო.

„მონაკო" ნახევარფინალში გასასვლელად თავს რომ დადებს, ეჭვგარეშეა, თუმცა გუნდს ტრავმირებული ნახევარმცველები — სილვიან ლეგვინსკი, ალი ბენარბია და ჯონ კოლინზი ტრავმის გამო ალბათ ვერ დაეხმარებიან.

### დინამო — იუვენტუსი

...ევრო 96-ის შესარჩევ ტურნირში უკრაინელთა ერთ-ერთი მეტოქე იტალიის ნაკრები იყო. კიევში 100 ათასიან სტადიონზე მასპინძელთა და „სკუადრა აძურას" შორის გამართულ მატჩს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მხოლოდ 20 ათასი გულშემატკივარი დაესწრო. ახლა იტალიური გუნდი, ოღონდ ამჯერად კლუბი, კვლავ ჩადის კიევში, მატჩზე დასასწრები 100 ათასი ბილეთიდან კი 75 ათასი პირველი მეოთხედფინალური მატჩის შემდეგ ორიოდ დღეში გაიყიდა — კიევში, როგორც ჩანს, „დინამოს" უფრო გულშემატკივრობენ, ვიდრე ნაკრებს.

ლობანოვსკიმ „დინამოს" ორჯერ მოაპოვებინა ევროთასი — 1975 და 1986 წელს უკრაინელებმა თასების თასი მოიგეს. ჩემპიონთა ლიგის ამ გათამაშებაში ძლიერი თამაშის შემდეგ, განსაკუთრებით კი „ბარსელონას" შინ და გარეთ მიწასთან გასწორების ფონზე (კიეველებმა კატალონიელებს ევროტურნირებში მონაწილეობის მანძილზე, ორი მატჩის ჯამში უსასტიკესი მარცხი აგემეს 0:7), „დინამო" თასის მოგების ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნიეს, ტურინში მიღწეულმა ფრემ კი მათი სათასო შანსები კიდევ უფრო გაზარდა.

სხვათა შორის, კიევში შესაძლოა, ვერ ითამაშოს მორენო ტორიჩელიმ, რომელმაც სერია A-ს ბოლო ტურში ნაპოლიტანელებთან ტრავმა მიიღო. ტურინელთა სხვა მოთამაშეები სრულ მზადყოფნაში არიან.

თავის მხრივ, კიეველებიც მოსაკლისებენ ძირითადის ფეხბურთელს — ვეტერანი მცველი ოლეგ ლუჟნი ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს.

### რეალი — ლევერკუზენი

— შანსებს თანაბრად ვაფასებ. ვგონებ, მადრიდელებს არა აქვთ თავი ქუდში. შინ რომ ვერ ვძლიეთ მეტოქეს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ გათამაშებას ჩამოვშორდით. ახლა „ბაიერი" კარგ ფორმაშია და ნაღდად შესწევს იმის ძალა, სძლიოს გამოცდილ მეტოქეს. მართალია, რამდენიმე მოთამაშე ვერაა სათანადო ფორმაში, მაგრამ გუნდი ხომ თერთმეტი ფეხბურთელისგან შედგება — განაცხადა ლევერკუზენელთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა, რომლის გუნდს მადრიდის დიდებულ „სანტიაგო ბერნაბეუზე" შესაძლოა უპირველესი თავდამსხმელი, ულფ კირსტენი დააკლდეს. ბუნდესლიგის ბომბარდირთა ლიდერმა რამდენიმე დღის წინ ზურგის ტრავმა მიიღო.

მეტოქესთან შედარებით ნახევარფინალში გასვლის უკეთესი შანსები ესპანელებს რომ აქვთ, ამას ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. თანაც თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „რეალმა" თითქმის დაკარგა ქვეყნის ჩემპიონობის მოპოვების შანსები, უნდა ვიფიქროთ, რომ „სამეფო გუნდი" მთელ ძალებს ჩემპიონთა ლიგას მოახმარს.

ისე, 90-იან წლებში მადრიდელებს ვერც ერთი ევროტურნირის ნახევარფინალისთვის ვერ მიუღწევიათ.

უეფას თასი. მეოთხედფინალი

# მარტო შოთაა უიმედოდ

„შალკეს" ლიბეროს ოლაფ ტონს სულაც არ აშინებს ის გარემოება, რომ დღეს „ინტერის" და რონალდოს წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა. იგი თავად უეფას თასის მფლობელია, უეფას თასის შარშანდელ ფინალში სწორედ „ინტერს" აჯობა და რაღად უნდა ეშინოდეს?

— ჩვენ არაფერს ვკარგავთ, „ინტერი" კი კარგავს — თქვა გუშინ ტონმა — ვალდებულნი ვართ 150 პროცენტით მოვინდომოთ და სულ ეს არის, შანსს ხელიდან არ გავუშვებთ.

ორი კვირის წინ, პირველ შეხვედრაში, „ინტერმა" რონალდოს საუცხოო გოლის წყალობით 1:0 მოუგო გელზენკირხენის გუნდს.

ამოუცნობი ბრაზილიელი ის კაცია, რომლის მეურვეობას „შალკეს" ჰოლანდიელი მწვრთნელი ჰუუბ სტივენსი საგანგებოდ ისურვებს. ეს საქმე ივ აიგენრაუხს ჩაბარდება, მაგრამ...

— რონალდოს გაჩერება მარტო ერთი კაცის თავსატეხი არ იქნება, მას მთელმა გუნდმა უნდა მიხედოს — გააფრთხილა მოთამაშეები სტივენსმა.

„შალკე" უეფას თასზე მეოთხედფინალშია და ნახევარფინალში გასვლის პრეტენზია აქვს. მას ბუნდესლიგაშიც მაღალი პოზიცია უკავია, ბოლო ტურში ბერლინის „ჰერტას" 4:1 მოუგო და მეოთხე ადგილზეა, ასე რომ „ინტერის" ბარიერი რომც ვერ დაძლიოს, გაისად უეფაზე ალბათ მაინც გავა.

— „ჰერტასთან" სწორედ ისე ვითამაშეთ და ისე მოვიგეთ, რომ „ინტერთან" თამაშის წინ საუცხოო ხასიათზე დავდექით — განაცხადა სტივენსმა, რომელმაც გასულ სეზონში გუნდს მართალია უეფას თასი აალებინა, მაგრამ გერმანიის პირველობაზე მე-12 ადგილს დასჯერდა.

ცუდ გუნებ-განწყობაზე ვფიქრობთ არც „ინტერი" უნდა იყოს. მისი ბოლო ანგარიშია 4:0, თუმცა მილანელთა მწვრთნელს ჯიჯი სიმონის სხვა რამ საწუხარი აქვს, მას გელზენკირხენში ხუთი მოთამაშე არ ეყოლება: იური ჯორკაეფი, ლუიჯი სარტორი და ფაბიო გალანტე დისკვალიფიცირებულნი არიან, პორტუგალიელ პაულუ სოუზასა და მაურო მილანეზეს კი ამ სეზონში სხვა გუნდების შემადგენლობაში უკვე აქვთ ევროთასებზე ნათამაშევი და ამიტომ დღეს უფლებააყრილნი გახლავან.

პლუს ტრავმები. შეძლებს თამაშს კუნთნატკენი ჰოლანდიელი აარონ ვინტერი? თან ბოლო ტურში არგენტინელმა დიეგო სიმეონემ თავი იტკინა.

„შალკესაც" ჰყავს დისკვალიფიცირებული ხალხი თომას ლინკე და იოჰან დე კოკი, ჩეხი ნახევარმცველი რადოსლავ ლატალი და ჰოლანდიელი თავდამსხმელი რენე აიკელკამპი კი დაშავებულნი არიან.

— ლატალმა შესაძლოა მოასწროს გამოჯანმრთელება, აიკელკამპს კი საამისო პირი არ უჩანს — ამბობს სტივენსი.

„ინტერის" ბანაკში ინტერვიუები საყოველთაოდ აიკრძალა, ერთადერთი პრეზიდენტი მასიმო მორატილა შერჩათ ჟურნალისტებს.

— ფეხბურთელებმა იციან რაც უნდა გააკეთონ, მაგრამ შიგადაშიგ შეხსენება სჭირდებათ. „შალკესთან" შეხვედრაში მათ ცოტა გმირობაც მოეთხოვებათ — თქვა მორატიმ.

— თუ საქმე პენალტებამდე მივიყვანეთ ფსიქოლოგიური უპირატესობა გვექნება — გაიხსენა შარშანდელი (უეფას თასი „შალკემ" „ინტერს" პენალტებით წაართვა) „შალკეს" მეკარემ იენს ლემანმა — ჩვენ უფრო მტკიცე ნერვები გვაქვს.

გერმანელებს რომ მტკიცე ნერვები აქვთ დიდი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება, ამსტერდამელ ზანგებსა და ქართველს კი დიდი ფიზიკური სიმტკიცე მოეთხოვებათ მოსკოვური „მაროზის" გადასატანად და ტიტების ქვეყანაში მშვიდობით დასაბრუნებლად, თორემ 1:3-ის გამოსწორებას ვინლა ჩივის.

— ჩვენს შეხვედრაში წესით იმ გუნდმა უნდა გაიმარჯვოს, რომელიც თავს დაიცავს, მაგრამ ყველა ღონეს ვიხმართ რათა ამ ლოგიკას ვძლიოთ — თქვა „აიაქსის" დანიელმა მწვრთნელმა მორტენ ოლსენმა, მოსკოვური სტადიონის „დინამოს" დირექტორმა ოლეგ ტოჩელოვიჩმა კი ბრძანა:

— შევეცდებით მოედანი რაც შეიძლება უკეთესად იყოს მზად თამაშისთვის, თუმცა იგი იდეალური რომ ვერ იქნება, ფაქტია.

რა აწუხებს „სპარტაკს"? დისკვალიფიცირებულია სერგეი გორლუკოვიჩი.

„აიაქსს"? დაშავებულნი არიან ნიგერიელი ტიჯანი ბაბანგიდა და რიჩარდ ვიჩხე.

სააგენტო „როიტერმა" მთელ დუნიას ამცნო ამსტერდამელთა ვარსკვლავის შოთა არველაძის რუსული „სპორტ ექსპრესისთვის" ნათქვამი სიტყვები, „სპარტაკს" თავისი საქმე უკვე გაკეთებული აქვსო. შოთას თურმე მიაჩნია, რომ „სპარტაკის" შა[illegible]ცია ოცის წინააღმდეგ.

ხალხის უმეტესობა ალბათ შოთას ეთანხმება, მაგრამ მათ რიცხვში არაა მორტენ ოლსენი. ის ამბობს: — „აიაქსი" არ დამარცხებულა. ბევრი რამ იღბალზეა დამოკიდებული, თუმცა ეს იღბალი ჩვენ მოსკოვში ძალით უნდა ჩავიყვანოთ. მე სიურპრიზს არ გამოვრიცხავ.

რითა ჰგავს რომის „ლაციო" ფრანგულ „ოსერს"? „ლაციომ" ბოლო ტურში, გენუაში 4:0 მოიგო, „ოსერმა" — შინ 3:1 „მონაკოსთან". „ლაციოს" დაუმარცხებელი პერიოდი უდგას. ასევეა „ოსერიც", ოღონდ თუ „ლაციოს" ნოემბრიდან მოყოლებული ყველა შეჯიბრებაში ერთად 20 არ წაუგია, ფრანგებს თავისი ჩემპიონატის ბოლო ხუთ თამაშში არ უწვნევიათ მარცხი.

— გოლი თუ გავუშვით, სამის გატანა მოგვიწევს — ამბობს „ოსერის" ნახევარმცველი სირილ ჟუნეშამი — ჩვენ ცხადია ბოლომდე ვიბრძოლებთ, მაგრამ აუტკივარ თავს თუ არ ავიტკივებთ, კარგი იქნება.

ეს ნათქვამი იმას ნიშნავს, რომ „ოსერში" კარგად ესმით ხეირიანი თავდაცვის მნიშვნელობა.

— საოცრად ბევრი მოძრაობა და ენთუზიაზმი დაგვჭირდება — ფიქრობს გამთამაშებელი საბრი ლამუში — რატომღაც მწამს, რომ რაღაც დიდი ამბავი მოხდება. ხალხი მხარში ამოგვიდგება და იქნებ გავიმარჯვოთ კიდეც.

„ოსერის" მწვრთნელს, გი რუს ბუნებრივია მთავარი ფორვარდის სტეფან გივარშის იმედი აქვს, მაგრამ ის, ვისი იმედიც აქვს გივარშს, მოედანზე არ იქნება — საფრანგეთის ნაკრების გარემარბი ბერნარ დიომედი დისკვალიფიცირებულია.

ოსერელთა შორის დაშავებულნი არიან: მეკარე ლიონელ შარბონიე, ნახევარმცველი იან ლაშერი, მცველი ფრედერიკ დანიუ... თუმცა მან შეიძლება ითამაშოს კიდეც. სხვათაშორის შარბონიე ბოლო ტურში დაშავდა, „მონაკოსთან", ხოლო ლაშერი გასული კვირის შუაში.

ისე, შეიძლება დაღლილობამაც იჩინოს თავი. „ოსერს" ამ სეზონში, აქაც და იქაც, 50 შეხვედრაზე მეტი უკვე ჩატარებული აქვს. „ოსერი" „ინტერტოტოს" თასიდან მოდის.

ფრანგთათვის კარგი ის ხდება, რომ გუნდს დაუბრუნდა და კარგ ფორმაშია კაპიტანი ფრანკ სილვესტრი, რომელიც ტრავმირებული იყო.

— ჩვენ იტალიელებს რომ ვუყუროთ და ველოდოთ, 90 წუთიანი ლოდინი დაგვჭირდება და გავვარდებით კიდეც. ამიტომაც უნდა მოვიგოთ, ოღონდ მათი ვარსკვლავები მჭიდრო მარწუხებში არიან მოსაქცევი — თქვა გამოჯანმრთელებულმა კაპიტანმა.

ახლა „ლაციოს" ჭიპმოჭრილ შვედ მწვრთნელს სვენ გორან ერიკსონსაც მოვუსმინოთ.

— მე რომ იმის ძახილი მოვრთო იტალიის ჩემპიონიც გავხდები და უეფას თასსაც ავიღებო, ერთსაც დავკარგავ და მეორესაც. ისე კი უეფას თასის მოგება გეგმაში გვაქვს, მითუმეტეს ახლა და საამისოდ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ.

ერიკსონს არ ეყოლება ორი მთავარი მოთამაშე დაშავებული პიერლუიჯი კაზირაგი და დისკვალიფიცირებული იუგოსლაველი ნახევარმცველი ვლადიმირ იუგოვიჩი, რომელმაც პირველ შეხვედრაში ერთადერთი გოლი გაიტანა.

მეოთხე თამაში გახლავთ „ასტონ ვილა" მადრიდის „ატლეტიკოს" წინააღმდეგ. დღეს ბირმინგემში მეტოქეები ისე დაეჭიდებიან ერთმანეთს, რომ დისკვალიფიცირებული არავინ ეყოლებათ, გაფრთხილებულები კი იცოცხლეთ.

**პაატუნა ძედია.**

## სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.** | | | | |
| 18 მარტი | | | | |
| ნიუკასლი — კრისტალ პალასი | | 1,3 | 3,8 | 7,0 |
| **ინგლისის ჩემპიონატი. პირველი დივიზიონი.** | | | | |
| 17 მარტი | | | | |
| ოქსფორდი — რედინგი | | 1,7 | 3,2 | 3,8 |
| 18 მარტი | | | | |
| სვინდონი — ვულვერჰემპტონი | | 3,2 | 2,9 | 2,0 |
| **შოტლანდიის თასი. გადათამაშება** | | | | |
| 18 მარტი | | | | |
| დანდი — რეინჯერსი | | 4,2 | 3,3 | 1,6 |
| **გერმანიის ჩემპიონატი. მეორე ბუნდესლიგა** | | | | |
| 17 მარტი | | | | |
| მეპენი — ვატენშაიდი | | 2,2 | 2,9 | 2,8 |
| **ინგლისის თასის მეოთხედფინალის გადათამაშება** | | | | |
| შეფილდ იუნაიტედი — ქოვენთრი | | 2,5 | 3,0 | 2,3 |
| ვესტ ჰემი — არსენალი | | 2,5 | 2,8 | 2,4 |
| **უეფას თასი. მეოთხედფინალი.** მეორე მატჩები | | | | |
| 17 მარტი | | | | |
| ოსერი — ლაციო | (4,0-1,15) | 2,4 | 2,7 | 2,6 |
| შალკე — ინტერი | (4,0-1,15) | 2,4 | 2,8 | 2,5 |
| სპარტაკი — აიაქსი | (1,05-7,5) | 2,5 | 3,0 | 2,3 |
| ასტონ ვილა — ატლეტიკო | (3,1-1,25) | 2,4 | 2,7 | 2,6 |
| **ჩემპიონთა თასი. მეოთხედფინალი.** მეორე მატჩები | | | | |
| 18 მარტი | | | | |
| დინამო — იუვენტუსი | (—-—) | 3,6 | 3,0 | 1,8 |
| რეალი — ლევერკუზენი | (1,2-3,5) | 1,7 | 3,0 | 4,2 |
| მანჩესტერ იუნაიტედი — მონაკო | (1,15-4,0) | 1,5 | 3,3 | 5,0 |
| დორტმუნდი — ბაიერნი | (1,7-1,7) | 2,5 | 2,6 | 2,5 |
| **თასების თასი. მეოთხედფინალი.** მეორე მატჩები | | | | |
| 19 მარტი | | | | |
| ჩელსი — ბეტისი | (1,05-7,5) | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| შტუტგარტი — სლავია | (1,1-5,0) | 1,4 | 3,6 | 5,6 |
| ვიჩენცა — როდა | (—-50,0) | 1,3 | 3,8 | 7,5 |
| ლოკომოტივი — აეკი | (1,3-2,5) | 1,8 | 2,9 | 3,8 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

## ინგლისი

### XXX ტური

**ნიუკასლი 0:0 ქოვენთრი**

**ნიუკასლი: გივენი, პისტონე, პირსი (დაბიზასი 30), ჰაუი, ალბერი (ბარტონი 86), ბეტი, ლი, სპიდი, ქეცბაია, შირერი, ანდერსონი**

**ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ბაროუზი, ბრინი, ნილსონი, ტელფერი (სტრაჩანი 90), სოლტვედტი, ჰაკერბი, ვილანი, ბოატენგი, დაბლინი, მოლდოვანი (ჰავორსი 75)**

# მოკლავს ოცნება კაცს?

თუ განგებამ ინება, ესენი ასოციაციის თასის ნახევარფინალშიც დაუპირისპირდებიან ერთმანეთს, მაგრამ ჯერ იქამდე შორია. „ქოვენთრის" მეოთხედფინალის გადათამაშება ელის „შეფილდ იუნაიტედთან", ხოლო თუ მოხდა და პირველდივიზიონელი მოწინააღმდეგე სძლიეს, მაშინ 5 აპრილს, მანჩესტერის შესანიშნავ „ოლდ ტრეფორდზე", „ნიუკასლი" და „ქოვენთრი" თასის ფინალისთვის იბრძოლებენ. მანამდე კი...



მაკმანამანმა შაბათს „ლივერპული" გადაარჩინა

შაბათს გამართულ მატჩში „ნიუკასლი" ძირითადად ქეცბაიას, ლის, ანდერსონის ძლიერი თამაშის წყალობით მთელი შეხვედრა დომინირებდა, მაგრამ შირერი ვერა და ვერ ხეირობდა, საგოლე შანსები კი საკმაო იყო. იმავე ქეცბაიას ძალისხმევით შირერს სულ ცოტა, სამჯერ მაინც შეეძლო ვეტერანი ოგრიზოვიჩის დამწუხრება, მაგრამ ვერ მოახერხა. თავის მხრივ ქეცბაიამაც რამდენიმე სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენა, მაგრამ ამაში „დამნაშავე" სტუმართა მეკარეა — ოთხ ათეულ წელს მიტანებულმა ოგრიზოვიჩმა არც საქართველოს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელს გაატანინა და არც სხვებს, თავად კი ფრთაშესხმულმა შესანიშნავად ითამაშა.

სხვათაშორის კენი დალგლიშმა რამდენიმე დღის წინ 1,5 მილიონ გირვანქად საბერძნეთს „ოლიმპიაკოსიდან" ნიკოლაის დაბიზასი შეიძინა და 24 წლის ელინელი პირველსავე შეხვედრაში ათამაშა.

**ტოტენჰემი 3:3 ლივერპული**

**ტოტენჰემი: ბაარდსენი, ფოქსი, ნილსენი, არმსტრონგი (მაუელსი 60), უილსონი, კემპბელი, ბერტი, ვეგა, კარი, ჟინოლა (ბრედი 86), კლინსმანი**

**ლივერპული: ფრიდელი, ჯონსი, მატეო, კარაგერი (ტომპსონი 61), ბიორნებიუ, რედნაპი, ლეონარდსენი (ბები 67), ჰარკნესი, მაკმანამანი, ინსი, ოუენი**

**1:0 კლინსმანი (13), 1:1 მაკმანამანი (21), 2:1 ჟინოლა (49), 2:2 ინსი (64), 3:2 ვეგა (80), 3:3 მაკმანამანი (89)**

...შეფილდელი მსაჯი დონ რინი წამზომს დასცქერის. დროა, შეხვედრა დასრულდეს, მაგრამ განა ასე იოლია, ერთი ხელის მოსმით შეწყვიტო ის შესანიშნავი თამაში, რომლის დარი ამ სეზონში თითო-ოროლა თუ გამართულა. არა, ამ მატჩის ასეთი ფინალი არ ივარგებს, თამაშს გამარჯვებული არ უნდა ჰყავდეს, არც ერთი გუნდია მარცხის ღირსი. არ შეიძლება „ტოტენჰემმა" მოიგოს, რადგან ლონდონელები არაფრით აღემატებიან სტუმრებს. თავის მხრივ „ლივერპულის" გამარჯვებაც უსამართლობა იქნება — გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში ჩამორჩებოდა „დეზებიან მამლებს". მეტოქეთ გამარჯვება სურთ, „ტოტენჰემი" მიზანთან უფრო ახლოა, თითქოს სახიფათო ზონიდან დაღწევის გზაც გამოჩნდა, მაგრამ...

„ლივერპულის" ბოლო შეტევამ მეტოქენი ტოლ-სწორად დააშორა. ერთი მეორეზე ძლიერი სულაც არ იყო და ფრეც ლოგიკური გახლდათ. ეს იყო ბრწყინვალე თამაში, რომელიც მართალია მნიშვნელობით „ოლდ ტრეფორდზე" გამართულ შეხვედრას ჩამოუვარდებოდა, მაგრამ სანახაობრივი თვალსაზრისით მანჩესტერულ ომსაც სჯობდა და ტურის სხვა მატჩებსაც. ზეობდა ფეხბურთი „უაით ჰართ ლეინზე". თითქმის მოგებული შეხვედრის ხელიდან გაშვება, ეჭვგარეშეა, მასპინძლებს დააღონებდათ, მაგრამ თამაშისგან მიღებული დიდი ესთეტიური სიამოვნება მასპინძელთა ფანებს ყველაფერს გადაატანინებდა.

— ბრწყინვალე თამაში იყო. ვფიქრობ, ყველა დამეთანხმება. ფეხბურთი სწორედ ამას ჰქვია და არა ისეთ ბურთაობას, ფანტაზიას და შემოქმედებას ნახაზები და გეომეტრია რომ ჩრდილავს. დღეს ჩვენც ვიმარჯვეთ და მეტოქემაც — ასე შეაფასა მასპინძელთა შვეიცარიელმა მწვრთნელმა კრისტიან გროსმა თამაში, რომელმაც არც მისი ლივერპულელი კოლეგა როი ევანსი დატოვა გულგრილი. სტუმართა თავკაცს შეხვედრის დაწვრილებითი გარჩევით თავი არ მოუკლავს, ალეღელვებულმა მხოლოდ ის დასძინა, დღეს ისევ ის ძველი, წმინდა ინგლისური ფეხბურთი ვიხილე, მთელს მსოფლიოს რომ ხიბლავდაო. მართლაც ძნელია, არ დაეთანხმო ალბიონის საფეხბურთო მორევში დაბერებულ კაცს.

კლინსმანის გოლის გაქვითვა მაკმანამანზე ადრე მაიკლ ოუენს შეეძლო, მაგრამ ნორვეგიის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე ესპენ ბაარდსენმა ლივერპულელთა ბომბარდირს არ გააყაიმებინა. პრემიერლიგის ერთ-ერთ ბომბარდირს კი აუღო ბაარდსენმა, მაგრამ სტუმართა ლიდერ მაკმანამანთან ვერას გახდა — 1:1. რაკი მაკმანამანი ვახსენე, აქვე დავძენ, რომ იგი მეტოქის ფრანგ ნახევარმცველ დავიდ ჟინოლასთან ერთად მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო. მაკმანამანი რომ მეტად ნიჭიერი ფეხბურთელია, ეს ახალი ამბავი სულაც არაა, ერთი ეგაა, ლივერპულელს სტაბილურობა არ ახასიათებს. ხანდახან ისეთ თამაშებში იჩრდილება, უბრალოდ, გასაკვირია. „ლივერპულის" გულშემატკივართა სასიხარულოდ შაბათს, ლონდონში იგი თამაშის იშტაზე იყო და ასეთ დროს რაც შეუძლია, კარგად დაამტკიცა.

ტაიმის დასრულებას აღარაფერი უკლდა, როცა მასპინძელთა თავდამსხმელმა ნილსენმა კინაღამ სტუმართა კარი დაშალა — სკანდინაველის უძლიერესი უკუდარტყმა, იგივე „მაკრატელა", ხარიხამ მოიგერია. შესვენების შემდგომ არაფერი შეცვლილა, პირიქით, გაცილებით სანახაობრივი თამაში გაჩაღდა. მოედანზე ფეხბურთელებმა ცეცხლი დაანთეს. ოთხმა ერთიმეორეზე უკეთესმა გოლმა კი ყველაფერ ამას კიდევ უფრო მეტი ხიბლი შემატა.

მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე დავიდ ჟინოლა შორეული დარტყმით „ტოტენჰემს" კვლავ აწინაურებს. მალე ინსი, ნილსენისგან განსხვავებით, „მაკრატელათი" მიზანს აღწევს — გოლი მართლაც შესანიშნავი გამოდგა. მატჩის დასასრულამდე 10 წუთით ადრე კი „ტოტენჰემის" მესამე გოლი გადის — პირველი ორი ბურთის დარად, ახლაც ლეგიონერმა იხეირა. შვეიცარიელი რამონ ვეგას დარტყმულს სტუმართა ამერიკელი მეკარე ბრედ ფრიდელი ვერ დაეუფლა.

ამ თამაშს დამარცხებული არ უნდა ჰყოლოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში უბრალოდ გულდასაწყვეტი იქნებოდა. ეტყობა, მაკმანამანიც ამ აზრზე იყო, თორემ ლამის მოედნის შუიდან კუთხურზე გადასასვლელად განწირულ ბურთს აბა რატომ დაედევნებოდა? — მასპინძელთა მეკარემ და მცველმა გაუგებრად ითამაშეს, სტივმა კი საშინელი სისწრაფით ჩაუქროლა ლონდონელებს და ბურთს „ტოტენჰემის" კარის ბადე შეარხევინა.

პირველობის ლიდერმა „მანჩესტერმა" ერთ-ერთ მდევარ „არსენალთან" შინ წააგო და ახლა „მეთოფენი" პრემიერლიგის პოტენციურ ლიდერად იქცნენ. ლივერპულელებს რომ მოეგოთ, ჩემპიონობისთვის და მასთან ერთად ჩემპიონთა ლიგისთვის ბრძოლაც კიდევ უფრო დაიძაბებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ისე, მორიგი ინგლისური სეზონის დასასრულამდე საკმაო ხანია დარჩენილი. ფერგიუსონის გუნის დაღმავალი, ხოლო ევანსის „ლივერპულის" აღმავალი თამაშის გათვალისწინებით ყველაფერი შეიძლება მოხდეს, ოცნებას ხომ კაცი არ მოუკლავს.

**მანჩესტერი 0:1 არსენალი**

**მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, ირვინი, იონსენი (მეი 79), ბერგი, კერტისი (ტორნლი 52), ფ. ნევილი (სოლსკიაერი 77), სქოულზი, ბექემი, შერინგემი, კოული**

**არსენალი: მენინგერი, დიქსონი, უინთერბერნი, ვიეირა, ადამსი, კეოუნი, პარლოუ (გარდე 70), პეტი, ვრე (ანელკა 68), ოვერმარსი, ბერხკამპი**

**0:1 ოვერმარსი (79)**

— ამ თამაშში ნათლად გამოჩნდა ჩვენი უპირატესობა. „არსენალის" გამარჯვება მუხლჩაუხრელი შრომის შედეგია. გვწამდა, ადრე თუ გვიან მანჩესტერელებს რომ გავუსწრებდით. რწმენამ რაც მოიტანა კი, თავად ხედავთ — განაცხადა „მეთოფეთა" ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა. ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო. გამონაკლისი არც ეს შემთხვევაა. უბრალოდ, ძლიერმა იმარჯვა და ეგაა, თუმცა სტუმრების ძლევამოსილებასთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ მასპინძლებს ლიდერობის განსამტკიცებლად ცდა არ დაუკლიათ. ერთი ეგ იყო, ინტერნაციონალური „არსენალის" წმინდა ინგლისური დაცვა და ყმაწვილკაცი ავსტრიელი მეკარე ალექს მენინგერი აუღებელი ციხესიმაგრედ იქცნენ.

ვენგერს გუნდი ტაქტიკურად ერთობ გაენათლებინა — არ ყოფილა შემთხვევა, „მანჩესტერის" შეტევისას რაიმე გაუთვალისწინებელი გარემოების გამო მენინგერის კარს საფრთხე დამუქრებოდა. თუ მასპინძლები მეტოქის კარს თავს ესხმოდნენ, რასაც სახიფათო მომენტის შექმნა მოსდევდა, ეს უფრო მიძინებული „ალისფერი ეშმაკუნების" ცალკეულ მომენტებში გამოღვიძების ხარჯზე ხდებოდა. სწორედ ასე შეეძლო შერინგემს და ბექემს შეგდება, ენდი კოულზე კი განგებ არაფერს ვიტყვი — მასპინძელთა ერთადერთ შავკანიან მოთამაშეს იმდენი საგოლე შანსი ჰქონდა, კაცს სათვალავი აერეოდა, მაგრამ რად გინდა? — ენდი ერთობ დაბნეული თამაშობდა, დამაგვირგვინებელ მომენტში კი თუ ბურთი მაინცდამაინც ბუცზე არ მიახტებოდა, თავად გარჯას არ კადრულობდა. მისგან განსხვავებით გადამწყვეტი გოლის ავტორი ოვერმარსი ძალიან მონდომებული იყო. გოლი კი პატარა ჰოლანდიელმა ფრანგი ანელკას მიერ მოგებული საჰაერო ბრძოლის შემდეგ გაიტანა — ჰოლანდიელის დარტყმა ახოვან დანიელ მეკარე პეტერ შმაიხელს ფეხებს შუა გაუძვრა.

**ვესტ ჰემი 2:1 ჩელსი**

**ვესტ ჰემი: ლამა, ფერდინანდი, პირსი, ანსუორსი, ლაზარიდისი, იმპი (პოტსი 46), ლემპარდი, ბერკოვიჩი, ბიშოპი, აბუ, სინკლერი**

**ჩელსი: ხარინი, ლებეფი, პიუზი, დაბერი, გრენვილი, მეიერსი, მორისი (ძოლა 76), შარვე, ნიუტონი, ფლო, დი მატეო**

**0:1 შარვე (54), 1:1 სინკლერი (69), 2:1 ანსუორსი (75)**

რაც ბერნარ ლამას მიანდეს „ვესტ ჰემის" კარის დაცვა, „ჩაქუჩებს" არ წაუგიათ.

**ევერტონი 1:0 ბლექბერნი**

**ევერტონი: მერი, უოტსონი, ბილიჩი, ტილერი, ოკინი, ატკინსონი, სპენსერი, ოსტერი, ბოლი, მადარი (კადამარტერი 82), ბარმბი (მაკკენი 76)**

**ბლექბერნი: ფლაუერსი, კენა, შერვუდი, ჰენდრი, რიპლი (დაფი 73), უილკოქსი, ფლიტკროფტი, მაკინლი, ენჩოსი, დალინი, სატონი**

**1:0 მადარი (62)**

აქამდე ლივერპულელებს თითქმის ორი თვის განმავლობაში ნათამაშევი ექვსი შეხვედრიდან ერთიც ვერ მოეგოთ.

**ასტონ ვილა 3:1 კრ. პალასი**

**ასტონ ვილა: ბოზნიჩი, სტონტონი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, ტეილორი, დრაპერი (გრეისონი 53), იოაკიმი, რაიტი, ნელსონი (ჩარლზი 72), ჰენდრი, მილოშევიჩი**

**კრ. პალასი: მილერი, ედვორსი, გორდონი, შიპერლი (იანსენი 57), დაიერი, სმიტი, ბენტი (ლომბარდო 67), ისმაელი, ფალერტონი, ემბლინი (როჯერი 46), ბროლინი**

**1:0 ტეილორი (1), 2:0, 3:0 მილოშევიჩი (153, 36), 3:1 იანსენი (62)**

ატილიო ლომბარდოს დებიუტი „კრისტალ პალასის" მწვრთნელის თანამდებობაზე სამარცხვინო გამოდგა.

**უიმბლდონი 2:1 ლესტერი**

**უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ბლეკველი, რობერტსი, გეილი, პერი, ერდლი, იუელი (ერლი 46), ლებერნი, პიუზი**

**ლესტერი: კელერი, უოლში (უოტსი 14), ლენონი, კლერიჯი, სევიჯი, პრიორი, ფალერტონი, ჯაპი, ზაგორაკისი, ჰესკი, მარშალი (უილსონი 81)**

**1:0 რობერტსი (14), 1:1 სევიჯი (57), 2:1 პიუზი (62)**

ამ უინტერესო შეხვედრის მოგებით მასპინძლებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაგეს პრემიერლიგაში დასარჩენად.

**ბარნსლი 4:3 საუთჰემპტონი**

**ბარნსლი: უოტსონი, იდენი, შერიდანი, მოუზისი, ბალოკი, ჯონსი (ტინკლერი 82), ბერნარდი, უორდი (ლიდელი 37, ხრისტოვი 68), მორგანი, ფიორტოფტი, რედფერნი**

**საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, მონკუ, ლუნდეკვამი, ოუკლი, ოსტენსტადი, ბერესფორდი, ბენალი, რიჩარდსონი (უილიამსი 58), ჰერსტი, ლე ტისიე**

**1:0 უორდი (17), 1:1 ოსტენსტადი (25), 2:1 ჯონსი (32), 2:2 ლე ტისიე (41), 3:2 ფიორტოფტი (42), 4:2 რედფერნი (573), 4:3 ლე ტისიე (71)**

პრემიერლიგის დებიუტანტმა „ბარნსლიმ" ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგო.

**ბოლტონი 3:2 შეფილდი**

**ბოლტონი: ბრენეგენი, კოქსი, ფიში, ტომპსონი, ფილიპსი, ბერგსონი, შერიდანი, ტოდი, ფრანდსენი, ბლეიკი, პოლდსუორსი**

**შეფილდი: პრესმენი, აზერტონი, პემბრიჯი (რუდი 74), ნიუსომი (რედლორკი 72), უოკერი, ბუთი, სტეფანოვიჩი, პინჩკლიფი, კარბონე, ბარეტი, დი კანიო**

**0:1 ბუთი (26), 1:1 ფრანდსენი (31), 2:1 ბლეიკი (53), 2:2 აზერტონი (59), 3:2 ტომპსონი (693)**

12 მოუგებელი შეხვედრის შემდეგ მასპინძლებმა პირველ წრეში, შეფილდში „ჰილსბროზე" 0:5 განადგურებისთვის რევანში აიღეს.

**დერბი 0:5 ლიდსი**

**დერბი: პოომი, როუეტი (კ. პაუელი 46), დ. პაუელი, შტიმაცი, ლაურსენი (დელაპი 82), კერსლი, ბარტონი, დეილი, ბაიანო, ერანიო (ჰანტი 33), ვენჩოპი**

**ლიდსი: მარტინი, კელი, ჰაალანდი, რადებე, ბოუერი, ჰალე, კიუელი (მაკფილი 71), ჰარტე, ჰიდენი, მოლენაარი, ჯიმი**

**0:1 ლაურსენი (ბს.კ.), 0:2 ჰალე (36), 0:3 ბოუერი (42), 0:4 კიუელი (59), 0:5 ჯიმი (72)**

ბოლოს „ლიდსმა" ასე საშინლად მასპინძლები 1994 წელს გაანადგურა — მაშინ სტუმართა ძალა „სვინდონმა" გამოსცადა საკუთარ თავზე.

**ლაშა გოდუაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 31 | 18 | 6 | 7 | 58:23 | 60 |
| არსენალი | 28 | 15 | 9 | 4 | 47:26 | 54 |
| ლივერპული | 30 | 14 | 9 | 7 | 51:32 | 51 |
| ჩელსი | 30 | 15 | 3 | 12 | 59:35 | 48 |
| ლიდსი | 30 | 14 | 6 | 10 | 45:30 | 48 |
| ბლექბერნი | 29 | 13 | 9 | 7 | 49:38 | 48 |
| დერბი | 29 | 13 | 6 | 10 | 44:39 | 45 |
| ვესტ ჰემი | 29 | 13 | 5 | 11 | 41:38 | 44 |
| ლესტერი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:30 | 40 |
| ქოვენთრი | 29 | 10 | 10 | 9 | 35:35 | 40 |
| საუთჰემპტონი | 30 | 12 | 4 | 14 | 39:42 | 40 |
| ასტონ ვილა | 31 | 11 | 6 | 14 | 34:41 | 39 |
| შეფილდი | 30 | 10 | 7 | 13 | 45:57 | 37 |
| უიმბლდონი | 28 | 9 | 8 | 11 | 30:32 | 35 |
| ნიუკასლი | 28 | 9 | 8 | 11 | 26:31 | 35 |
| ევერტონი | 30 | 8 | 9 | 13 | 34:42 | 33 |
| ტოტენჰემი | 30 | 8 | 7 | 15 | 29:47 | 31 |
| ბარნსლი | 29 | 9 | 4 | 16 | 29:66 | 31 |
| ბოლტონი | 29 | 5 | 12 | 12 | 27:47 | 27 |
| კრ. პალასი | 29 | 5 | 8 | 16 | 24:50 | 23 |

## პირველი დივიზიონი

**პორტ ვეილი 2:1 სიტი**

**სიტი: მარგეტსონი, ჯეფ უაიტლი, ედჯილი, ვიკენსი, საიმონსი, ჯობსონი, ჯიმ უაიტლი (დიკოვი 39), ბრენენი (ბრაუნი 57), პინი (რასელი 73), ქინქლაძე, როსლერი**

**1:0 ფოილი (13), 1:1 ვიკენსი (61), 2:1 ეინსუორსი (73)**

...1893 წლის შემდეგ „სიტი" „პორტ ვეილს" სტუმრად მხოლოდ მეცხრედ შეხვდა და პირველად დამარცხდა.

## საბერძნეთი

26-ე ტური. ოლიმპიაკოსი — კავალა 4:2; პანიონიოსი — აეკი 0:1; ქსანთი — პანათინაიკოსი 1:3; პანილიაკოსი — ოფი 2:0; პაოკი — იონიკოსი 3:1; პრუდეფტიკი — ირაკლისი 4:4; პანახაიკი — ეთნიკოსი 1:0; ვერია — კალამატა 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 26 | 22 | 1 | 3 | 68:18 | 67 |
| პანათინაიკოსი | 26 | 21 | 1 | 4 | 70:21 | 64 |
| აეკი | 26 | 18 | 5 | 3 | 48:23 | 59 |
| პაოკი | 26 | 16 | 6 | 4 | 48:28 | 54 |
| იონიკოსი | 26 | 15 | 6 | 5 | 39:23 | 51 |
| ირაკლისი | 26 | 13 | 7 | 6 | 42:31 | 46 |
| პანილიაკოსი | 26 | 9 | 8 | 9 | 37:34 | 35 |
| ოფი | 26 | 10 | 3 | 13 | 34:46 | 33 |
| ქსანტი | 26 | 9 | 5 | 12 | 40:46 | 32 |
| პანიონიოსი | 26 | 9 | 3 | 14 | 32:37 | 30 |
| ვერია | 26 | 8 | 5 | 13 | 29:37 | 29 |
| აპოლონი | 25 | 8 | 5 | 12 | 22:32 | 29 |
| პანახაიკი | 26 | 8 | 3 | 15 | 22:45 | 27 |
| პრუდეფტიკი | 26 | 6 | 5 | 15 | 28:52 | 23 |
| ეთნიკოსი | 26 | 7 | 1 | 18 | 20:41 | 22 |
| კალამატა | 26 | 5 | 6 | 15 | 18:38 | 21 |
| ათინაიკოსი | 25 | 5 | 5 | 15 | 18:39 | 20 |
| კავალა | 26 | 4 | 5 | 17 | 27:51 | 17 |

## თურქეთი

26-ე ტური. ანკარაგიუჯიუ — ფენერბაჰჩე 0:2; ისთანბული — ბეშიქთაში 1:2; ტრაბზონი — სამსუნი 4:0; გალათასარაი — გენჩლერბირლიგი 3:1; ალთაი — გაზიანთეფი 0:0; ანთალია — ქარაბუქი 4:0; ბურსა — ვანსფორი 6:0; ქაისერი — შექერსფორი 0:1; ქოჯაელი — დარდანელი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 26 | 17 | 4 | 5 | 62:34 | 55 |
| ტრაბზონი | 26 | 16 | 6 | 4 | 53:27 | 54 |
| ფენერბაჰჩე | 26 | 16 | 6 | 4 | 43:18 | 54 |
| ისთანბული | 26 | 11 | 9 | 6 | 44:28 | 42 |
| ბურსა | 26 | 12 | 6 | 8 | 40:31 | 42 |
| ბეშიქთაში | 26 | 11 | 7 | 8 | 47:32 | 40 |
| სამსუნი | 26 | 11 | 7 | 8 | 32:28 | 40 |
| ქარაბუქი | 26 | 11 | 4 | 11 | 28:37 | 37 |
| ალთაი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:34 | 34 |
| დარდანელი | 26 | 8 | 9 | 9 | 28:26 | 33 |
| ქოჯაელი | 26 | 9 | 6 | 11 | 34:33 | 33 |
| ანკარაგიუჯიუ | 26 | 9 | 6 | 11 | 29:33 | 33 |
| გენჩლერბირ. | 26 | 7 | 8 | 11 | 31:34 | 29 |
| ანთალია | 26 | 7 | 7 | 12 | 38:45 | 28 |
| ქაისერი | 26 | 8 | 4 | 14 | 27:43 | 28 |
| შექერსფორი | 26 | 7 | 5 | 14 | 28:58 | 26 |
| გაზიანთეფი | 26 | 5 | 8 | 13 | 28:37 | 23 |
| ვანსფორი | 26 | 2 | 7 | 17 | 18:59 | 13 |

## ალბანეთი

24-ე ტური. ტომორი — ლაჩი 2:0; ფლამურტარი — დინამო 0:0; აპოლონია — ელბასანი 1:0; ბილიში — ვლაჟნია 2:2; ტირანა — სკენდერბო — 3:0; ტეუტა — ბესა 1:0; შკუმბინი — ალბპეტროლი 3:1; სოპოტი — პარტიზანი 1:3; ლუშნია — შკიპონია 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაჟნია | 24 | 17 | 3 | 4 | 30:19 | 54 |
| პარტიზანი | 24 | 16 | 1 | 7 | 46:16 | 49 |
| ტირანა | 24 | 14 | 6 | 4 | 43:14 | 48 |
| ტეუტა | 24 | 13 | 2 | 9 | 26:21 | 41 |
| შკუმბინი | 24 | 12 | 3 | 9 | 43:30 | 39 |
| ლაჩი | 24 | 12 | 2 | 10 | 33:26 | 38 |
| აპოლონია | 24 | 10 | 6 | 8 | 28:22 | 36 |
| ელბასანი | 24 | 11 | 2 | 11 | 32:18 | 35 |
| ბილიში | 24 | 10 | 4 | 10 | 33:26 | 34 |
| ფლამურტარი | 24 | 9 | 6 | 9 | 30:31 | 33 |
| ლუშნია | 24 | 9 | 5 | 10 | 37:29 | 32 |
| სკენდერბო | 24 | 8 | 5 | 11 | 25:33 | 29 |
| ტომორი | 24 | 9 | 2 | 13 | 23:37 | 29 |
| სოპოტი | 24 | 8 | 4 | 12 | 28:45 | 28 |
| დინამო | 24 | 7 | 6 | 11 | 21:27 | 27 |
| შკიპონია | 24 | 7 | 3 | 14 | 23:46 | 24 |
| ბესა | 24 | 6 | 5 | 13 | 30:41 | 23 |
| ალბპეტროლი | 24 | 4 | 3 | 17 | 14:64 | 15 |

## ესპანეთი

### მეორე დივიზიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 32 | 16 | 9 | 7 | 36:22 | 57 |
| ესტრემადურა | 32 | 16 | 9 | 7 | 44:32 | 57 |
| ლას პალმასი | 32 | 14 | 14 | 4 | 57:34 | 56 |
| ვილიარეალი | 32 | 14 | 12 | 6 | 37:30 | 54 |
| სევილია | 32 | 14 | 8 | 10 | 39:32 | 50 |
| ერკულესი | 32 | 13 | 10 | 9 | 41:33 | 49 |
| ატლეტიკო | 32 | 13 | 9 | 10 | 49:38 | 48 |
| რაიო | 32 | 13 | 8 | 11 | 35:29 | 47 |
| ლეგანესი | 32 | 11 | 13 | 8 | 34:34 | 46 |
| ლეიდა | 32 | 13 | 7 | 12 | 36:37 | 46 |
| ეიბარი | 32 | 11 | 12 | 9 | 30:24 | 45 |
| ბადახოსი | 31 | 10 | 13 | 8 | 33:25 | 43 |
| ორენსე | 32 | 11 | 10 | 11 | 32:31 | 43 |
| ოსასუნა | 31 | 11 | 9 | 11 | 28:26 | 42 |
| ალბასეტე | 32 | 10 | 9 | 13 | 35:42 | 39 |
| ტოლედო | 32 | 8 | 13 | 11 | 30:38 | 37 |
| ელჩე | 32 | 8 | 10 | 14 | 34:43 | 34 |
| სერესი | 32 | 6 | 13 | 13 | 18:30 | 31 |
| ხაენი | 32 | 6 | 12 | 14 | 26:41 | 30 |
| ნუმანსია | 32 | 6 | 12 | 14 | 21:42 | 30 |
| ლოგრონიესი | 32 | 5 | 14 | 13 | 22:33 | 29 |
| ლევანტე | 32 | 5 | 8 | 19 | 23:44 | 23 |

## იტალია

# სამშაბათის ბრალია ყველაფერი

### XXV ტური

### ლეჩე 1:1 ფიორენტინა

ლეჩე: ნორიერი, ვიალი, სიპრიენი, ბერუჩი, როსინი, მ. როსი, ჯანინი, პიანგერელი, კასალე (ანონი 83), პალმიერი, იანუცი (ატელკინი 90)
ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი (ამორუზო 65), ფირიკანო, პადალინო, კანჩელსკისი, კოისი, რუი კოშტა, სერენა, მორფეო (ატსენი 70), ოლივეირა, რობიატი
1:0 მ. როსი (68), 1:1 ოლივეირა (86)
გაფრთხილება: ოლივეირა, ტაროცი, ბელუჩი

### ბრეშა 2:2 მილანი

ბრეშა: ჩერვონე, ადანი, ბია, დიანა, ბაროლო, ა. ფილიპინი, ე. ფილიპინი, დონი (ნერი 64), ბანინი, პირლო (იავორჩიჩი 85), უბნერი (ბიცარი 52)
მილანი: ს. როსი, დაინო, კოსტაკურტა (ბელუფა 24, მაინი 46), დესაი, მალდინი, ბა, დონადონი, ბობანი (განცი 75), ციგე, კლუივერტი, ვეა
1:0 უბნერი (413), 1:1, 1:2 ვეა (44, 52), 2:2 ბიცარი (68)
გაფრთხილება: ე. ფილიპინი, ბია, ბიცარი
გაძევება: დაინო (89)

### პიაჩენცა 0:2 უდინეზე

პიაჩენცა: სერენი, დელიკარი, ვერხოვოდი, მ. როსი (ვალტოლინა 46), ტრამეცანი, პიოვანი (ვალოტი 60), მაცოლა, შიენცა, სტროპა, რასტელი, დიონიჯი (ძერბინი 79)
უდინეზე: ტურჩი, პელეგგი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ჯანიკედა, ვალემი (აპია 88), ბაკინი, ამორუზო (ლოკატელი 75), ბირჰოფი, პოჯი
0:1 ბირჰოფი (183), 0:2 პოჯი (27)
სტროპამ ვერ გაიტანა პენალტი (90)
გაფრთხილება: კალორი, სერენი, ვერხოვოდი, ჯანიკედა, პიერინი

### რომა 2:1 ბარი

რომა: კონსელი, კაფუ (პივოტო 85), ძაგო, ალდაირი, კანდელა, დი ფრანჩესკო, ჰელგუერა, დი ბიაჯო (ტომაზი 83), პაულო სერჟიო, ბალბო (ჩიმენტი 43), ტოტი
ბარი: მანჩინი, გარსია (ვოლპი 30), სალა, ნექროიზი, მანიგეტი (მარკოლინი 75), დე ასკენტისი, ინგესონი, ბრესანი, ძაბროტა, ოლივარესი (გუერერო 26), მასინგა
1:0 პაულო სერჟიო (2), 1:1 ძამბროტა (52), 2:1 ალდაირი (80)
გაფრთხილება: ნექროიზი, მანიგეტი, დი ფრანჩესკო, კანდელა, ტოტი
გაძევება: კონსელი (43)

### ემპოლი 2:0 პარმა

ემპოლი: როკატი, ფუსკო, მალდინი, ბიანკონი, ამეტრანო, პანე, ფიჩინი, ლუჩენტი, ფლორიანჩიჩი (ლანგონე 77), მარტუშელო (ბეტელა 84), ბონომი (მასტრონუნციო 90)
პარმა: ბუფონი, ზე მარია (მუსი 46), ტურამი, კანავარო, ბენარივო, კრიპა, დ. ბაჯო (ფიორე 40), სენსინი, ორლანდინი (ადაილტონი 46), კიეზა, სტანიჩი
1:0 მარტუშელო (24), 2:0 ბონომი (45)
გაფრთხილება: ამერტანო, ბენარივო

### ბოლონია 3:1 ვიჩენცა

ბოლონია: სტერკელე, პარამატი, პაგანინი, მანგონე, ნერვო (პავონე 69), მაგონი, შალიმოვი, ტარანტინო, რ. ბაჯო (ფონტოლანი 82), ანდერსონი, კოლივანოვი (კარნაშალი 78)
ვიჩენცა: ფალსიონი, სტოვინი, ბელოტი, ვივიანი, კოკო, სკენარდი (ბეგეტო 46), დი კარლო, ამბროზინი (ბარონიო 73), ძაული, ლუიზო, ოტერო (ფირმანი 73)
1:0 ანდერსონი (16), 1:1 ძაული (31), 2:1 კოლივანოვი (38), 3:1 (ანდერსონი 45)
გაფრთხილება: პარამატი, ამბროზინი, მაგონი, ვივიანი, სტოვინი, პავონე

### სამპდორია 0:4 ლაციო

სამპდორია: ფერონი, ბალერი, ჰუგო (ვერგასოლა 64), მანინი, მიხაილოვიჩი, ლაიგლე, ბოგოსიანი, ფრანკეშეტი (პეზარეზი 76), ვერონი (სალსანო 72), მონტელა, სინიორი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა (ლოპესი 56), ფავალი, პანკარო (გრანდონი 67), გოტარბი, იუგოვიჩი, ფუზერი, ნედვედი, მანჩინი (მარკოლინი 67), ბოკშიჩი
0:1 იუგოვიჩი (1), 0:2 ნედვედი (53), 0:3, 0:4 ფუზერი (66, 81)
მონტელამ ვერ გაიტანა პენალტი (75)
გაფრთხილება: ნესტა, პანკარო, მარკეჯანი

### ინტერი 4:0 ატალანტა

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, კოლონეზე (კანუ 51), ვესტი, ძანეტი (მილანეზე 78), მორიერო, კოე, სიმეონე, პაულო სოუზა (ზე ელიასი 65), სამორანო, რონალდო
ატალანტა: ფონტანა, დუნდიერსკი, სოტილი, რუსტიკო, ფოლიო (ძანინი 65), მირკოვიჩი, ბონაჩინა, კარბონე, სგრო (კაპიოლი 60), კაჩა, მაგალანესი (ბოსელი 90)
1:0 მორიერო (65), 2:0 კანუ (73), 3:0 რონალდო (77), 4:0 კოე (88)
გაფრთხილება: პაულო სოუზა, ბერგომი, ვესტი, რონალდო

### იუვენტუსი 2:2 ნაპოლი

იუვენტუსი: პერუცი, პესოტო, მონტერო, ბირინდელი, დიმაში, კონტე, დეშამპი (დილივიო 64), დავიდსი (ძალაიეტა 70), ზიდანი (პეკია 46), ინძაგი, დელ პიერო
ნაპოლი: ტალიალატელა, გორეტი, მალაფრონტე (პანარელი 29), ბალდინი, ფაჩი (გრასონი 61), როსიტო (სკარლატო 78), ტურინი, ლონგო, ალტომარე, პროტი, ბელუჩი
1:0 დელ პიერო (45), 1:1 ტურინი (68), 2:1 ძალაიეტა (74), 2:2 პროტი (90)
გაფრთხილება: ფაჩი, ბელუჩი, ბირინდელი, დი მაში, ტურინი, პროტი, დელ პიერო

— სიტყვა კრიზისს მე არ ვახსენებდი, მაგრამ იმის უარყოფა, რომ ჩვენი შედეგები აღარ ვარგა, არ შეიძლება. დღესვე გვმართებს რაღაცეების შეცვლა — უთხრა ჟურნალისტებს ალესანდრო დელ პიერომ, რომელმაც ბოლო ტურში, „ნაპოლისთან" შეხვედრაში თავისი მე-17 გოლი გაიტანა. შემდეგ „იუვენტუსის" ვარსკვლავმა ინდიელივით საკუთარ თავზე მესამე პირში განაგრძო საუბარი — როცა გუნდი კარგად ვერ თამაშობს დელ პიერო კმაყოფილი არ არის, თუნდაც სამი გოლი ჰქონდეს გატანილი. ჩვენ „ნაპოლისთან" შეხვედრას არასწორედ მივუდექით.

დიახ, დელ პიერო ვერ იქნებოდა კმაყოფილი. აუტსაიდერთან შინ 2:2, როდესაც კონკურენტები მგლებივით კვალში მოგდევენ, ცუდია და არანაკლებ უსიამოვნოა, როდესაც მწვრთნელი მატჩის დამთავრების მერე ერთი საათი გიყვირის. ყვირილის ხმა გასახდელის ჩაკეტილ კარს ვერ შეეჩერებინა.

— თამაშამდე ვცადე ჩემი ფეხბურთელებისთვის ამეხსნა, რომ ის 41 ქულიანი უპირატესობა „ნაპოლისთან" რომ გვაქვს, არაფერს ნიშნავს. სამწუხაროდ ვერ შევძელი — თქვა მოგვიანებით ლიპიმ.

„იუვემ" წაიფორხილა. სამაგიეროდ მდევრებმა „ლაციომ" და „ინტერმა" 4:0 მოიგეს. მეორე ადგილზე მიმავალ რომაელებს ასეთი წარმატებული პერიოდი კლუბის 98 წლიან ისტორიაში არ ჰ ქონიათ. ჩემპიონატში ზედიზედ 14 არწაგება იშვიათია, მაგრამ გუნდის შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი სიტყვით მაინც არ ეთამაშება „სკუდეტოს", რომელსაც „ლაციო" პირველად და ჯერჯერობით ერთადერთხელ 1973-74 წლების სეზონში ფლობდა.

მესამეზე „ინტერია", მეოთხეზე კი „უდინეზე", რომელმაც „პიაჩენცას" სტუმრად 2:0 მოუგო და „ემპოლიში" ასეთივე ანგარიშით დამარცხებულ „პარმას" გადაასწრო.

— ჩვენ შესანიშნავი „პარმას" წინააღმდეგ კარგად ვითამაშეთ და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ისე, პარმელთა ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე აუცილებლად იმოქმედებდა გასული სამშაბათის სათასო მარცხი „მილანთან" — თქვა „ემპოლის" მწვრთნელმა ლუჩანო სპალეტიმ.

„პარმას" თავკაცი კარლო ანჩელოტი დაეთანხმა კოლეგას: — მეორე ტაიმს არა უშავდა, მაგრამ პირველში მოწინააღმდეგეს ყველაფერი დავუთმეთ. ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ჩვენ სამშაბათის სათასო მატჩმა დაგვთრგუნა. ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ეტყობა, ეს მარცხი საკუთარ თავს უნდა დავაბრალო. ვერაფრით შევძელი ორ დღეში ფეხბურთელთათვის ახალი მოტივაცია მომეძებნა.



REUTERS ტურინიდან

იუვენტუსი — ნაპოლი. როცა გუნდი იგებს დელ პიეროს უხარია

"ფიორენტინა" ლეჩეში ლუის ოლივეირას დარტყმამ შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე გადაარჩინა წაგებას.

— ძალიან ძნელი თამაში გამოდგა. ჩვენ ყველა ღონე ვიხმარეთ — განაცხადა ფლორენციელთა მწვრთნელმა ალბერტო მალესანიმ — ასეთია ფეხბურთი. არის პერიოდები, როდესაც საქმე შენს სასიკეთოდ არ მიდის, თუ გინდ თავი მოიკალი. ისე ჩვენ ჯერ კიდევ ზევით ვართ და უეფას თასზე გამსვლელი ადგილისთვის ვიბრძვით.

იბრძოლებენ ფლორენციელები, რატომაც არა, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ არგენტინელი გაბრიელ ბატისტუტა გამოუჯანმრთელდებათ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ „ფიორენტინა" ამ ფორვარდის გარეშე არავინაა. ბატისტუტა ნაკრებში გამოიძახეს და „ფიორენტინამ" ვერ ივარგა, ახლა ნეკნი ატკივდა და იგივე...

— სამშაბათის შემდეგ ძალთა აღსადგენად დრო არ გვეყო — ეს უკვე „მილანის" თავკაცის ფაბიო კაპელოს სიტყვებია — განსაკუთრებით ძნელი ის გახლდათ, რომ ჩვენ ალვუდექით გუნდს, რომელმაც მშვენივრად იცის, როგორ უნდა ფეხბურთის კარგად თამაში.

ეს გუნდი „ბრეშაა", რომელმაც „მილანის" ლიბერიელ ფორვარდს ჟორჟ ვეას გოლი არ შეარჩინა, ბოლოს კი სტუმრები საჯარიმოსთან გამოიმწყვდია და ერთი ისეთი მომენტიც ვერ გამოიყენა, თქვენი მოწონებული: თაურით, ახლოდან...

ეტყობა, გასულ სამშაბათს „პარმამ" და „მილანმა" დიდი ენერგია მიახარჯეს ერთმანეთს. აკი ორივე მწვრთნელი ამას ჩიოდა. ისე კი „მილანმა" „ბრეშასთან" საძაგლად ითამაშა.

**პაპუნა ძიძია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 25 | 15 | 8 | 2 | 52:22 | 53 |
| ლაციო | 25 | 15 | 6 | 4 | 46:17 | 51 |
| ინტერი | 25 | 15 | 5 | 5 | 45:21 | 50 |
| უდინეზე | 25 | 13 | 7 | 5 | 46:29 | 46 |
| რომა | 25 | 12 | 8 | 5 | 45:30 | 44 |
| პარმა | 25 | 12 | 8 | 5 | 39:25 | 44 |
| ფიორენტინა | 25 | 10 | 10 | 5 | 46:28 | 40 |
| მილანი | 25 | 10 | 9 | 6 | 32:24 | 39 |
| სამპდორია | 25 | 9 | 7 | 9 | 39:44 | 34 |
| ბოლონია | 25 | 7 | 9 | 9 | 36:35 | 30 |
| ვიჩენცა | 25 | 8 | 5 | 12 | 27:47 | 29 |
| ბრეშა | 25 | 7 | 6 | 12 | 34:40 | 27 |
| ემპოლი | 25 | 7 | 5 | 13 | 36:43 | 26 |
| ბარი | 25 | 7 | 5 | 13 | 23:36 | 26 |
| პიაჩენცა | 25 | 4 | 12 | 9 | 18:30 | 24 |
| ატალანტა | 25 | 4 | 9 | 12 | 19:38 | 21 |
| ლეჩე | 25 | 3 | 5 | 17 | 19:56 | 14 |
| ნაპოლი | 25 | 2 | 6 | 17 | 17:54 | 12 |

### სერია B

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 26 | 15 | 9 | 2 | 50:21 | 54 |
| ვენეცია | 26 | 13 | 8 | 5 | 39:22 | 47 |
| კალიარი | 26 | 12 | 11 | 3 | 37:20 | 47 |
| ტორინო | 26 | 10 | 8 | 8 | 36:32 | 38 |
| რეჯანა | 26 | 10 | 7 | 9 | 26:22 | 37 |
| პერუჯა | 26 | 9 | 10 | 7 | 27:27 | 37 |
| ჯენოა | 26 | 10 | 6 | 10 | 39:40 | 36 |
| კიევო | 26 | 9 | 9 | 8 | 26:29 | 36 |
| რეჯინა | 26 | 9 | 9 | 8 | 23:26 | 36 |
| პესკარა | 26 | 9 | 7 | 10 | 30:33 | 34 |
| ლუკეზე | 26 | 9 | 7 | 10 | 26:30 | 34 |
| ტრევიზო | 26 | 8 | 10 | 8 | 26:31 | 34 |
| ვერონა | 26 | 9 | 6 | 11 | 34:29 | 33 |
| ფ.ანრია | 26 | 7 | 10 | 9 | 27:31 | 31 |
| მონცა | 26 | 5 | 14 | 7 | 33:36 | 29 |
| რავენა | 26 | 7 | 8 | 11 | 26:29 | 29 |
| ანკონა | 26 | 6 | 9 | 11 | 31:39 | 27 |
| ფოჯა | 26 | 6 | 8 | 12 | 29:38 | 26 |
| პადოვა | 26 | 5 | 9 | 12 | 18:34 | 24 |
| დი სანგრო | 26 | 3 | 13 | 10 | 28:42 | 22 |

დარჩა 86 დღე
FRANCE98

## ფუტიქსის დროშით

# ფროდ გროდასის გასაჭირი

ნორვეგიის ნაკრების კაპიტანი და გოლკიპერი ფროდე გროდასი სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. ამის შესახებ მან შაბათს განაცხადა, მას მერე რაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი კარიერის ინგლისური მონაკვეთი, რომელიც „ტოტენჰემსა" და „ჩელსიში" მოღვაწეობას მოიცავდა, უიღბლო გამოდგა.

— მზად ვარ, ნებისმიერ პირობას დავთანხმდე — უთხრა გროდასმა დასავლეთნორვეგიულ გაზეთ „ბერგენს ტიდენდეს" კორესპონდენტს და განმარტა, რომ ეროვნულ გუნდში ადგილის შენარჩუნებისა და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშისთვის მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება.

— განაწყენებული ვარ, რადგან არ მომეცა საშუალება მეჩვენებინა , თუ რა კარგი მეკარე გახლავართ. ამასთანავე დავძენ, რომ იმ ნორვეგიულ კლუბს, რომელიც ჩემს ყიდვას გადაწყვეტს, ძვირი არ დავუჯდები — დაამატა მეკარემ.

მოგეხსენებათ, ნორვეგიის ჩემპიონატი ევროპის ქვეყანათა უმრავლესობისგან განსხვავებით გაზაფხულზე იწყება და შემოდგომით მთავრდება.

გროდასს არც „ჩელსისა" და არც „ტოტენჰემში" 1997 წლის მაისის შემდეგ ძირითად შემადგენლობაში არ უთამაშია. ბოლო სრული თამაში ის ჰქონდა, „უემბლიზე" „ჩელსიმ" ასოციაციის თასის ფინალში „მიდლსბროს" რომ მოუგო და ჯილდოს დაეუფლა.

იანვარში გროდასი ლონდონის ერთი უბნიდან მეორეში გადასახლდა, „ჩელსიდან" „ტოტენჰემ ჰოტსპურში" გადავიდა, მაგრამ სკამზე რომ დასვეს, წამოდგომის საშუალება აღარ მიუციათ. ბედის ირონია ის გახლავთ, რომ „ტოტენჰემის კარს" მისი უმცროსი თანამემამულე, 23 წლამდელთა ნაკრების გოლკიპერი ესპენ ბაარდსონი იცავს.

# ადრე მხოლოდ ღონიერი იყო

ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გუნდის თავკაცმა სტივ სემპსონმა შაბათს პარაგვაისთან ამხანაგურ შეხვედრაში მაქსიმუმი გააკეთა. რა ქნას, მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ცოტა დროა, ყველა თანამემამულე ფეხბურთელის გასინჯვას ველარ მოასწრებს. რაც მოახერხა — პარაგვაისთან მეორე გუნდის ექვსი ფეხბურთელი ათამაშა — ისიც ძალიან დიდი საქმეა.

კალიფორნიის შტატის ქალაქ სან დიეგოს „ქუალკომის" სტადიონზე 15253 მაყურებლის თვალწინ აშშ-მ ორი გაიტანა და ორიც გაუშვა.

დაცვაში ორივე გუნდი თავს იკლავდა და მეტოქეებსაც კლავდა — ხუთი ფეხბურთელი გააფრთხილეს.

პარაგვაიმ მთავარი შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე. ერთადერთი კაცი ვინც აკლდა, მეკარე ხოსე ლუის შილავერი იყო. ეტყობა, სამხრეთ ამერიკელებმა იფიქრეს, მთავარი გუნდით ამერიკელებს როგორ ვერ უნდა ვაჯობოთო და მე-15 წუთზე დენის კანისამ ანგარიში გახსნა. ეს ასე მოხდა: მარჯვენა ფრთიდან მიველ ბენიტესმა კუთხურის ადგილამდე ირბინა, იქ მცველი გრეგ ვენი მოატყუა და ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, საიდანაც 19 მეტრიდან კანისამ დაარტყა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეაგდო.

ამერიკელებმა ანგარიში ექვს წუთში გაათანაბრეს. ერიკ ვინალდას კუთხურს ჩედ დირინგმა 8 მეტრიდან თავური ჰკრა და მარჯვნივ გაიტანა. ეს გოლი ამერიკელთათვის 315-წუთიანი დუმილის შემდეგ პირველი გამოდგა. ის, 315 წუთის წინანდელი გოლი 10 თებერვალს ბრაზილიის კარში გავიდა. მაშინ, კონკაკაფის თასზე აშშ-მ ბრაზილიას 1:0 მოუგო.

— ნახევარდაცვისა და თავდასხმის თამაშით შედარებით კმაყოფილი გახლავართ. საწყის 20 წუთში გარკვეული ჩავარდნები კი გვქონდა, მაგრამ შესვენებისთვის გამოვასწორეთ. ვგონებ, ჟინიანი და სანახავად ლამაზი ფეხბურთი ვითამაშეთ — განაცხადა მოგვიანებით სემპსონმა.

50-ე წუთზე ამერიკელები დაწინაურდნენ. მარსელო ბალბოამ გაწოლილი თავურით მარცხენა კუთხური გოლად გარდასახა, 12 მეტრიდან. სხვათა შორის, ეს შეხვედრა ბალბოასთვის 126-ე იყო ნაკრებში და ეს კაცი მსოფლიო რეკორდს უახლოვდება. ის უკვე გასცდა ინგლისელი მეკარის პიტერ შილტონის შედეგს და მხოლოდ საუდელ მაჯედ აბდულას (147) და შვედ გოლკიპერს თომას რაველის (143) ჩამორჩება.

მეორე ტაიმი პარაგვაიმ თამაშით პირწმინდად წააგო, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხა. ეს 75-ე წუთზე ფრანსისკო არსეს პენალტით მოხდა. არსემ პენალტი პირდაპირ შუაში დაარტყა.

— ანგარიში ორივე გუნდისთვის კარგი იყო — განაცხადა პარაგვაის მწვრთნელმა პაოლო სეზარ კაპეჯანიმ — მეტოქეებმა ორივე ტაიმში შექმნეს საინტერესო ეპიზოდები. აშშ ის გუნდია, რომელმაც დიდი პროგრესი განიცადა. ფიზიკურად ამერიკელები ყოველთვის ღონიერები იყვნენ, მაგრამ ახლა ტექნიკურადაც მოღონიერებულან და უფრო ორგანიზებულად თამაშობენ.

აშშ-მ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: სომერი, ბარნსი, ბალბოა, ლალასი, ვენი, დეიდუკი, დირინგი, სორბერი (მური 46), ჯონსი, ვაგნერი (მაისონევი 64), ვინალდა (რადოსავლიევიჩი 74).

## ინგლისი

მარტის ბოლო კვირას ინგლისის ნაკრები შვეიცარიაში, კერძოდ ქალაქ ბერნში გაატარებს და მასპინძლებს ამხანაგურად გაეჯიბრება. გუნდის მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა გუშინ ქვეყნის პირველ გუნდში მიწვეული მოთამაშეები დაასახელა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მათ შორის არაა პოლ გესქოინი. სამაგიეროდ გუნდში დააბრუნეს პოლ მერსონი, რომელმაც ნაკრებში ბოლოს ინგლისელთათვის ავადსახსენებელ იტალიასთან 0:1 წაგებულ მატჩში ითამაშა. მწვრთნელმა გესქოინის არდაძახება ფეხბურთელის მოუმზადებლობით ახსნა, ინგლისის პირველი დივიზიონის „მიდლსბროში" მოთამაშე მერსონზე კი აუგი არ დასცდენია, პირიქით, ამ ბოლო ხანებში ძალიან მოუმატაო.

გუნდი: მეკარეები — ნაიჯელ მარტინი (ლიდსი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი), კევინ პრესმენი (შეფილდ უენსდეი); მცველები — სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), მარტინ კეონი, ტონი ადამსი (არსენალი), გარი და ფილ ნევილები (მანჩესტერი), ენდი ჰინჩკლიფი (შეფილდ უენსდეი), გარეტ საუთგეიტი (ასტონ ვილა), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემი), გრემ ლე სო (ჩელსი); ნახევარმცველები — რეი პარლოუ (არსენალი), პოლ მერსონი (მიდლსბრო), პოლ ინსი (ლივერპული), დევიდ ბეტი, რობერტ ლი (ნიუკასლი), დევიდ ბექემი (მანჩესტერი); თავდამსხმელები — პოლ სქოულზი, ენდი კოული, ტედი შერინგემი, ნიკი ბათი (მანჩესტერი), სტივ მაკმანამანი, მაიკლ ოუენი (ლივერპული), დიონ დაბლინი (ქოვენთრი).

## შოტლანდია

იონ ჯესი 21 თვეა ნაკრებში არ გამოუძახიათ და აი, ცუდი დროება დასრულდა. მწვრთნელმა კრეიგ ბრაუნმა „აბერდინის" ვარსკვლავს კვლავ გაუღო კარი. ჯესი ამიერიდან თავდამსხმელი იქნება.

25 მარტს, გლაზგოს „იბროქს პარკზე" იონ ჯესი „ბლექბერნ როვერსის" კევინ გალაჰერთან ერთად დანიელთა დაცვის მთავარი საზრუნავი შეიქნება — ასეთია ბრაუნის გადაწყვეტილება.

ახლა იმაზე ვთქვათ, საიდან გამოუჩნდა აბერდინელს ნაკრებში დაბრუნების შანსი. ყველაფერი „რეინჯერსის" თავდამსხმელის გორდონ დიურის დაშავების შედეგია. გარდა ამისა, ბილი დოდსი და დარენ ჯეკსონი თავიანთ კლუბებში დღესდღეისობით მოწინავე პოზიციებზე ვერ არიან. ისე, დიური ბრაუნმა მაინც შეიყვანა განაცხადში, იმედი აქვს, რომ 25 მარტამდე მომჯობინდება.

შოტლანდიელთა ბანაკში არიან: ენდი გორამი (რეინჯერსი), ჯიმ ლეიტონი (აბერდინი), ნილ სალივანი (უიმბლდონი), ტომი ბოიდი (სელტიკი), კოლინ კალდერვუდი (ტოტენჰემი), კრისტიან დეილი (დერბი), მატ ელიოტი (ლესტერი), კოლინ ჰენდრი (ბლექბერნი), ჯეკი მაკნამარა (სელტიკი), მაიკლ ვეირი (ჰართსი), დერეკ უაითი (აბერდინი), კრეიგ ბარლი (სელტიკი), ჯონ კოლინზი (მონაკო, საფრანგეთი), კევინ გალაჰერი (ბლექბერნი), სკოტ ჯემილი (ნოტინგემ ფორესტი), დევიდ ჰოპკინი (ლიდსი), პოლ ლამბერტი (სელტიკი), სტივ მაკკოლი (რეინჯერსი), ტომ მაკკინლი (ბლექბერნი), საიმონ დონელი (სელტიკი), გორდონ დიური (რეინჯერსი), სკოტ ბუთი (დორტმუნდი, გერმანია), დარენ ჯეკსონი (სელტიკი), იონ ჯესი (აბერდინი).

# ქუთაისელებმა ვერ დაიცვეს თავისი ადგილი მიუჩინეს

○ *ნაკრებს პირობების გაუმჯობესებას შეპირდნენ*
○ *„რიონი" არ ჩამოვიდა*
○ *პლეი-ოფი — 25 მარტიდან*

საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე მოისმინეს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ლევან მოსეშვილის ანგარიში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ჩვენი გუნდის გამოსვლის თაობაზე. დასკვნა ერთია — თუ სასწრაფო ღონისძიებები არ გატარდა, ჩვენი ნაკრების წარმატებებზე ფიქრიც ზედმეტი იქნება. პირველ რიგში უნდა შეიქმნას პირობები ნაკრების უკეთ მოსამზადებლად. როგორც იცით, „დინამოს" ბაზაზე, სადაც გუნდი ემზადება, უკვე დაიდგა გენერატორი, რომელიც დარბაზს სითბოთი და ცხელი წყლით უზრუნველყოფს. გარდა ამისა, ნაკრების უფროს მწვრთნელს შეჰპირდნენ, რომ ბაზაზე კვების პრობლემას გადაჭრიან, რითაც ნაკრებს საშუალება მიეცემა, ჩაატაროს ორჯერადი ვარჯიშები. მოსაგვარებელია ნაკრების წევრთა ხელფასით უზრუნველყოფის საკითხიც. მოკლედ, ყველას კარგად აქვს შეგნებული, რომ ნაკრების უკეთ მომზადებისთვის მეტი ყურადღებაა საჭირო. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყდება ეს პრობლემები.

ამასობაში ნაკრების ორმა შემადგენლობამ, რომელთაც ახალგაზრდა კალათბურთელებიც შეუერთდნენ, მატჩი გამართა ვერის პარკში. ეს ლევან მოსეშვილის იდეა იყო. თუმცა, რადგან წინ პლეიოფის მეტად საპასუხისმგებლო მატჩებია, კლუბების მწვრთნელთა თხოვნით ნაკრების წევრები უმეტესად თავიანთ გუნდებში ემზადებიან. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი ისინი ნაკრების მწვრთნელთა განკარგულებაში გადავლენ და მაშინ ასეთი მატჩები უფრო მეტს მისცემს როგორც მოთამაშეებს, ისე მწვრთნელებს და, ალბათ, კალათბურთის გულშემატკივრებსაც, რომლებიც თვითონაც ნახავენ, როგორია ნაკრების კანდიდატთა დონე.

რაც შეეხება პირველობას, პლეი-ოფამდე უნდა გამართულიყო ქუთაისის „რიონის" გამოტოვებული შეხვედრები, მაგრამ, სამწუხაროდ, ქუთაისელები ფინანსური პრობლემების გამო ვერ ჩამოვიდნენ თბილისში და მათ დარჩენილ თამაშებში დამარცხება ჩაეთვალათ.

გარდა ამისა, გუნდი მოიხსნა მერვემეცამეტე ადგილის თამაშებიდან. მეტად სავალალო ფაქტია — ქუთაისელები უკვე ზედიზედ მეორე ჩემპიონატს ვერ ამთავრებენ. არადა, ქართული კალათბურთისთვის უმძიმესი დანაკლისი იქნება, თუ ისეთ საკალათბურთო ქალაქში, როგორიც ქუთაისია, სადაც ოთარ და მიხეილ ქორქიები, ნიკოლოზ დერიუგინი, ზურაბ საკანდელიძე, ზურაბ გრძელიძე, გელა დარსაძე აღიზარდნენ, სპორტის ეს სახეობა ჩაკვდება. ვიცით, რომ დალხინებული ცხოვრება არა გვაქვს, მაგრამ ვერავინ დაგვაჯერებს, რომ ქალაქს არ შეუძლია ერთი გუნდის შენახვა და წელიწადში სამჯერ-ოთხჯერ თბილისში მოვლინება. ასე რომ, ჩემპიონატის საბოლოო ცხრილმა ქუთაისელთა ჩამოუსვლელობის შემდეგ ასეთი სახე მიიღო:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. აზოტი | 24 | 23 | 1 | 2445:1918 | 47 |
| 2. დინამო | 24 | 20 | 4 | 2316:1822 | 44 |
| 3. ვითა | 24 | 19 | 5 | 2010:1831 | 43 |
| 4. თსუ | 24 | 18 | 6 | 2201:2003 | 42 |
| 5. სდასუ | 24 | 18 | 6 | 2141:1798 | 42 |
| 6. ასკ | 24 | 13 | 11 | 2086:2299 | 37 |
| 7. შევარდენი | 24 | 11 | 13 | 2008:2057 | 35 |
| 8. მაკაბი | 24 | 10 | 14 | 1994:2054 | 34 |
| 9. სტუ | 24 | 9 | 15 | 1943:2037 | 33 |
| 10. დინამო 2 | 24 | 8 | 16 | 1801:2079 | 32 |
| 11. კოლხა | 24 | 3 | 21 | 1808:2092 | 27 |
| 12. მერანი | 24 | 1 | 23 | 1539:2369 | 25 |
| 13. რიონი | 24 | 2 | 22 | 1162:1652 | 19 |

„რიონს" იმ შვიდ თამაშში, რომელზეც არ გამოცხადდა, ქულა არ დაეწერა.

შეგახსენებთ, რომ პლეი-ოფის მეოთხედფინალებში, რომელიც 25 მარტს დაიწყება, ერთმანეთს ხვდებიან:

აზოტი — მაკაბი, დინამო — შევარდენი, ვითა—ასკ, თსუ — სდასუ.

**გია აგლაძე**

რეგულარული ჩემპიონატი

# დასავლეთში უკვე არხეინობენ

13 მარტი

### კლიპერსი 152:120 ტორონტო

**კლიპერსი: მიური (25), როჯერსი (24), მარტინი (21)**
**ტორონტო: სლეიტერი (20)**

ამასწინათ კლიპერს — ლეიკერსის შეხვედრას კლიპერსის 16-ათასიან დარბაზში 18 500 მაყურებელი დაესწრო. ის მატჩი მასპინძლებმა 85:108 წააგეს და შეიძლება ამის გამოც ტორონტოს განადგურებას ტრიბუნებიდან მხოლოდ 6 ათასმა ადევნა თვალი. ლიგის ამ ორი უსუსური გუნდის მატჩი მასპინძელთა სრული უპირატესობით წარიმართა, კლიპერსელები იმდენად ზუსტად ისროდნენ, რომ სეზონის ორი რეკორდი დაამყარეს: ამ სეზონში ჯერ არც ერთ გუნდს არ მოუგროვებია 152 ქულა ერთ მატჩში და ვერც ერთმა შეძლო თამაშიდან სროლების 69,3 პროცენტის ჩაგდება. ლიგის ყველა დროის რეკორდი კი ეკუთვნის დალასს, რომელმაც 1995 წლის 11 აპრილს 156 ქულა ჩაუგდო მომავალ ჩემპიონ „ჰიუსტონ როკეტსს".

### იუტა 110:101 ვანკუვერი

**იუტა: მელოუნი (30)**
**ვანკუვერი: რივზი (23+12 მოხსნა)**

ვანკუვერმა შუა დასავლეთის დივიზიონის ლიდერს გვარიანი წინააღმდეგობაც გაუწია და მოგებაც შეეძლო, მაგრამ იუტას ლიდერმა კარლ მელოუნმა ბოლო მეოთხედის მეორე ნახევარში 12 ქულა მიითვალა და ვანკუვერელი დათვები ისევ „ბუნაგში" შეაბრუნა. იუტას მეორე ლიდერმა და ლიგის ყველა დროის რეკორდსმენმა პასებში ჯონ სტოქტონმა 16 ქულა და 11 პასი გააკეთა და კარიერაში 15 ათას ქულას გადააბიჯა. ამ ორს კარგად წაეხმარნენ გრეგ ფოსტერი (18 ქულა) და ადამ კიფი (14 ქულა, 11 მოხსნა) და იუტამ ზედიზედ მეათე, ბოლო 18 შეხვედრაში კი მე-17 გამარჯვებით გაიხარა.

### ფინიქსი 101:77 გოლდენ სტ.

**ფინიქსი: რობინსონი (22), მაკდაიესი (20)**
**გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (21), დამპიე (15+14 მოხსნა)**

### ინდიანა 96:76 მილუოკი

**ინდიანა: სმიტსი (20+11 მოხსნა)**
**მილუოკი: პერი (25), ალენი (20)**

მილუოკი ინდიანაპოლისში ორი ლიდერის ტერელ ბრენდონისა და გლენ რობინსონის გარეშე ჩავიდა, იქ კი ლარი ბერდმა სრული საბრძოლო შემადგენლობა დაახვედრა. სტუმრები პირველ მეოთხედში კი გაუძალიანდნენ მეტოქეს, თავიც სწორედ ბრენდონის შემცვლელმა ელიოტ პერიმ გამოიდო, მაგრამ ინდიანამ მეტოქეს თავისი ადგილი მიუჩინა და მეორე ნახევარი 47:30 მოუგო. მილუოკიმ ზედიზედ მეხუთედ იწვნია მარცხი და კიდევ უფრო გაიუარესა პლეი ოფში მოხვედრის ისედაც თეორიული შანსი.

### ფილადელფია 107:86 ატლანტა

**ფილადელფია: აივერსონი (34+10 პასი), ტომასი (20)**
**ატლანტა: ჰენდერსონი (23)**

ფილადელფიამ მასზე გაცილებით ძლიერი ატლანტა დაჩაგრა, მასპინძლებმა ოლსტარელ სტუმრებს აჯობეს. ბრწყინვალედ ითამაშა ალენ აივერსონმა, რომელსაც სჩვევია ძლიერ მეტოქეებთან თავის გამოდება. მან ერთობ დაიბრიყვა ოლსტარელი სტივ სმიტი და 39 წუთში 14 ქულაზე მეტი არ გააკეთებინა, თავის მწვრთნელ ლარი ბრაუნს კი ათქმევინა, აივერსონმა დღეს საუცხოოდ ითამაშა და როცა ხასიათზეა, მისი გამჩერებელი არავინ მეგულებაო. კარგად გაისარჯა ფილადელფიელთა ცენტრი, ექსდეტროიტელი თეო რეთლიფიც, ვინაც ატლანტას ოლსტარელ ცენტრ დიკემბე მუტომბოს წინააღმდეგ თამაშობდა და 17 ქულა, 14 მოხსნა და 5 დაფარება შემატა თავისიანებს, მრისხანე ზაირელი კი 9 ქულასა და 4 მოხსნას დააჯერა.

### ორლანდო 82:100 შარლოტი

**ორლანდო: ანდერსონი (20)**
**შარლოტი: რაისი (24), გეიგერი (19)**

ორლანდომ მშვენივრად დაიწყო და პირველ სამ წუთში 13:2 დაწინაურდა, მაგრამ მერე ჯადოქრები, თითქოს ჯადო რამ მოერიათო, ლამის გახევდნენ, შარლოტელ კრაზანებს თავი დააკბენინეს და ზედიზედ მესამედაც წააგეს.

### ბოსტონი 92:96 დეტროიტი

**ბოსტონი: უოლკერი (19+18 მოხსნა)**
**დეტროიტი: სტეკჰაუზი (19), ჰილი (19)**

ერთ დროს ძლევამოსილ „ბოსტონ სელტიქსს" წინა სეზონი ჩაუვარდა, 82-დან მხოლოდ 15 მატჩი მოიგო და ვანკუვერის გასწრებაღა შეძლო. ამ სეზონში კი გუნდს სათავეში ჩაუდგა გამოცდილი რიკ პიტინო, რომელმაც ანტუან უოლკერისა და კიდევ ორიოდე მოთამაშის გარდა ყველა გაისტუმრა და, ფაქტობრივად, ახალი გუნდი ჩამოაყალიბა, თანაც ისეთი, პლეი ოფისთვის რომ ებრძოლა. თუმცა წელს, თუ სასწაული არ მოხდა, ბოსტონი პლეი ოფს ვერ იხილავს. მისმა ძლევანდელმა მეტოქემ კი პირიქით — გაცილებით მოუკლო გასული სეზონის მერე და თითქმის ბოსტონის დონის გუნდად იქცა. სტუმრებმა ეს თამაშიც ძლივს მოიგეს, ისიც ბოლო მეოთხედში 11-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ.



ფინიქსი — დალასი. ჯეისონ კიდმა (32) ძალიან ივაჟკაცა

14 მარტი

### ჰიუსტონი 89:86 საკრამენტო

**ჰიუსტონი: ოლაჯუონი (23+11 მოხსნა)**
**საკრამენტო: რიჩმონდი (18)**

ჰიუსტონი შინ, გადაჭედილი ტრიბუნების თვალწინ 83:86 აგებდა საკრამენტოსთან, ვისთანაც წაგების სირცხვილს ორგზის ჩემპიონები მარიო ელიმ და ჩარლზ ბარკლიმ (17 ქულა, 11 მოხსნა) გადაარჩინეს. პირველმა ზუსტი სამქულიანით გააყაიმა, მეორემ კი ბოლო 15 წამში 3 საჯარიმო ჩააგდო და თავისიანებს ზედიზედ მესამედ მოაგებინა. ისე, საკრამენტოს ჰიუსტონში 32 შეხვედრიდან მხოლოდ ორში უმარჯვია. ჰიუსტონის ბებერი სუპერცენტრი ჰაკიმ ოლაჯუონი კი NBA-ს ისტორიაში შევიდა: მან საკრამენტოს 11 ბურთი მოუხსნა და უილტ ჩემბერლენისა და ქარიმ აბდულ ჯაბარის შემდეგ მესამეა კარიერაში 24 000 ქულით, 12 000 მოხსნით და 2 500 პასით.

### სან ანტონიო 86:96 ჩიკაგო

**სან ანტონიო: რობინსონი (35)**
**ჩიკაგო: ჯორდანი (30), კუკოჩი (21)**

თავისიანთა საქომაგოდ სან ანტონიოს 20-ათასიან „ალამოდოუმში" 37 ათასი კაცი მოვიდა და დიდი სტუმრ-ლრიანცელითაც შეხვდა წინა ჯერზე დალასთან დამარცხებულ ჩემპიონებს. სან ანტონიოც, დალასივით, ტეხასური გუნდია, თუმცა მასზე ათი თავით მაღლა დგას, მაგრამ უცენტრო ჩიკაგომ მრისხანე რობინსონის გუნდს იოლად სძლია და ამხელა აუდიტორიას თამაშის ბოლოს ხმა გააკმენდინა.

### დალასი 93:108 ნიუ ჯერსი

**დალასი: ფინლი (18)**
**ნიუ ჯერსი: გატლინგი (24), კიტლზი (20)**

ჩიკაგოსთან სენსაციური გამარჯვების შემდეგ დალასი შინ ველარ მოერია ნიუ ჯერსის, რომელსაც ორი ყოჩი — ოლსტარელი ჯეისონ უილიამსი და წლევანდელი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედა კიტ ვან ჰორნი აკლდა, თუმცა თავისი უპირატესობა საეჭვო მაინც არ გაუხდია და 7-მატჩიანი წაგებების სერიაც შეწყვიტა.

### კლივლენდი 88:85 ნიუ იორკი

**კლივლენდი: კემპი (22+10 მოხსნა), ილგაუსკასი (18)**
**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (18), ოუკლი (18+12 მოხსნა)**

ძირითადი დროის ამოწურვამდე 3 წუთით ადრე მასპინძლები 78:72 იგებდნენ, მაგრამ ლარი ჯონსონის მეთაურობით ნიუ იორკმა ადვილად გაასწორა სხვაობა, 2,2 წამით ადრე კი ჯონსონმა ცალი ხელით ჩააგდო და შერკინებაც ოვერტაიმშიც გაგრძელდა. აქაც ქულა-ქულაზე თამაში გაჩაღდა. 14,9 წამით ადრე კი კლივლენდელმა ბრევინ ნაითმა (10 ქულა) ორი საჯარიმო ჩააგდო და სხვაობა სამ ქულამდე გაზარდა. დარჩენილ დროში ნიუ იორკმა ვერაფერი მოახერხა.

### შარლოტი 80:83 ვაშინგტონი

**შარლოტი: რაისი (27)**
**ვაშინგტონი: უებერი (22+11 მოხსნა)**

ვაშინგტონს მოაგებინა კრის უებერმა, ვინაც 80:81-ზე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო.

### სიეტლი 114:80 მინესოტა

**სიეტლი: პერკინსი (18)**
**მინესოტა: პორტერი (16)**

15 მარტი

### პორტლენდი 103:92 კლიპერსი

**პორტლენდი: საბონისი (28+15 მოხსნა), რაიდერი (26)**
**კლიპერსი: ოსტინი (18)**

ორი დღის წინ კლიპერსმა იოლად მოუგო ტორონტოს და კანადური გუნდისთვის შეიძლება პორტლენდიც მიეყოლებინა, მაგრამ მასპინძლებმა საბონისის წინამძღოლობით ბოლო მეოთხედში 4-ქულიანი ჩამორჩენაც დაძლიეს და ბოლოს გაიმარჯვეს კიდეც.

### გოლდენ სტ. 98:100 ტორონტო

**გოლდენ სტეიტი: მარშალი (19+15 მოხსნა), უეზერსპუნი (18+20 მოხსნა)**
**ტორონტო: კრისტი (24), კემბი (23+16 მოხსნა + 5 დაფარება)**

დუგ კრისტიმ სირენამდე რამდენიმე წამით ადრე გადამწყვეტი ბურთი ჩააგდო და სტუმრებს მოაგებინა.

### ფინიქსი 100:90 დალასი

**ფინიქსი: კიდი (20+13 მოხსნა + 12 პასი + 5 დაფარება)**
**დალასი: ფინლი (20+12 პასი)**

ფინიქსს ზედიზედ მეოთხედ მოაგებინა ჯეისონ კიდმა. მან იმდღევანდელი დიდი მონაგარით ოთხწლიან კარიერაში მე-18 სამმაგი დუბლი შეასრულა. ამ გამარჯვებით ფინიქსმა გაინაღდა ბილეთი პლეი ოფში თამაშისა.

### ნიუ იორკი 86:9[illegible] ინდიანა

**ნიუ იორკი: ჰიუსტონი (31), ჯონსონი (17+13 მოხსნა)**
**ინდიანა: ჯექსონი (28+11 პასი), სმიტსი (22+11 მოხსნა)**

სტუმრებს მოაგებინა 186-სანტიმეტრიანმა მარკ ჯექსონმა, რომელმაც 28 ქულით სეზონის რეკორდი დაიმყარა და წინანდელი მიღწევა ერთბაშად 10 ქულით გააუმჯობესა.



მარკ ჯექსონმა სეზონის რეკორდი დაიმყარა

### ატლანტა 93:77 ბოსტონი

**ატლანტა: მუტომბო (21+11 მოხსნა + 6 დაფარება)**
**ბოსტონი: უოლკერი (16)**

### ორლანდო 76:79 მაიამი

**ორლანდო: ანდერსონი (30)**
**მაიამი: ჰარდევეი (22)**

ორლანდომ მესამე მეოთხედი ოთხი ქულის სხვაობით მოიგო, მაგრამ მეოთხედში გატყდა და რომ არა ეულად მებრძოლი ანდერსონი, დიდი ანგარიშითაც დამარცხდებოდა.

### დეტროიტი 98:109 იუტა

**დეტროიტი: ჰილი (29), უილიამსი (24+14 მოხსნა)**
**იუტა: მელოუნი (28), ჰორნაჩეკი (22)**

ამ მარცხის შემდეგ კიდევ უფრო საეჭვო გახდა დეტროიტის ზედიზედ მესამე პლეი ოფი, იუტას კი დასავლეთის ოთხ გუნდთან ერთად განაღდებული აქვს 8 უძლიერესს შორის მოხვედრა.

### ვანკუვერი 110:119 ლეიკერსი

**ვანკუვერი: რივზი (24), აბდურ-რაჰიმი (23)**
**ლეიკერსი: ონილი (24+11 მოხსნა), ჰორი (23+13 მოხსნა)**

ლეიკერსს დაუბრუნდა ფეხისტრავმამოშუშებული ნიკ ვან ექსელი, თუმცა ლეიკერსი მის გარეშეც იოლად სძლევდა ვანკუვერს. ლეიკერსმა, რომელსაც ასევე თავის ქუდში (ანუ პლეი ოფში) აქვს, ზედიზედ მეექვსედ მოიგო.

**ირაკლი ფირაშვილი**

#### აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| მაიამი | 45 | 20 | 68,2 |
| ნიუ იორკი | 35 | 29 | 54,7 |
| ნიუ ჯერსი | 34 | 31 | 32,3 |
| ვაშინგტონი | 34 | 31 | 52,3 |
| ორლანდო | 32 | 32 | 50,0 |
| ბოსტონი | 29 | 35 | 45,3 |
| ფილადელფია | 24 | 39 | 38,1 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| ჩიკაგო | 47 | 17 | 73,4 |
| ინდიანა | 45 | 19 | 70,3 |
| შარლოტი | 40 | 24 | 62,5 |
| ატლანტა | 38 | 25 | 60,3 |
| კლივლენდი | 34 | 30 | 53,1 |
| მილუოკი | 29 | 34 | 46,0 |
| დეტროიტი | 29 | 35 | 45,3 |
| ტორონტო | 14 | 49 | 22,2 |

#### დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| იუტა* | 47 | 16 | 74,6 |
| სან ანტონიო* | 43 | 21 | 67,2 |
| ჰიუსტონი | 33 | 31 | 51,6 |
| მინესოტა | 33 | 31 | 51,6 |
| ვანკუვერი | 15 | 48 | 23,8 |
| დალასი | 14 | 51 | 21,5 |
| დენვერი | 7 | 58 | 10,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| სიეტლი* | 48 | 15 | 76,2 |
| ლეიკერსი* | 45 | 18 | 71,4 |
| ფინიქსი* | 43 | 21 | 67,2 |
| პორტლენდი | 36 | 27 | 57,1 |
| საკრამენტო | 26 | 40 | 39,4 |
| გოლდენ სტეიტი | 14 | 50 | 21,9 |
| კლიპერსი | 14 | 50 | 21,9 |

* *უკვე გავიდნენ პლეი ოფში*

## ჩოგბურთი

# მარტინა ცასითაც პირველია

ინდიან უელსი. ჩემპიონთა თასი.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 2 500 000 $

**მეოთხედფინალი: მარსელო რიოსი (7, ჩილე) — პეტერ კორდა (2, ჩეხეთი) 6:4, 6:2; გრეგ რუზეცკი (6, ინგლისი) — ტომას ენკვისტი (შვედეთი) 2:6, 7:6 (7:1), 6:4; იან-მაიკლ გემბილი (აშშ) — ანდრე აგასი (აშშ) 7:6 (8:6), 3:6, 6:3; ტომას მუსტერი (ავსტრია) — ანდრეი მედვედევი (უკრაინა) 5:7, 6:3, 6:4**

ტომას ენკვისტს ზუსტად ისეთი დაბადების დღე ჰქონდა, როგორც თარს პარასკევსა და თანაც 13 რიცხვს შეეფერებოდა — 24 წლის იუბილარმა კორტი თავჩაქინდრულმა დატოვა. არადა, მატჩის დასაწყისი შვედისთვის ცუდს არას მოასწავებდა: მეტოქეს, გრეგ რუზეცკის, თავიდან საფირმო ეისები კი არა, ხეირიანი მოწოდებაც კი ვერაფრით ჩაეგდო და სანამ სამიზნეს გაისწორებდა, პირველი სეტი კიდეც წააგო. ველურმა გრეგმა გული არ გაიტეხა და მთავარი იარაღის ამოქმედება ახალი მსოფლიო რეკორდით — 235 კმ-სთ-იანი მოწოდებით აღნიშნა, რითაც თავისივე ძველ მიღწევას ერთბაშად



მარსელო რიოსი

5 კილომეტრი წაუმატა. რუზეცკის რეკორდი, გარეგნულად მაინც, დიდად არ გახარებია, მაგრამ ამის შემდეგ თავი სულ მთლად გაიგიჟა და ძალაზე მოსულმა ზედიზედ 6 მოწოდება მშრალზე მოიგო, თანაც ერთი ბრეიკიც გააზერხა. ენკვისტს ერთი კვადრატიდან მეორისკენ უსაქმოდ ყიალი მეორე სეტში 4:5-ზე მოსწყინდა და როგორღაც ანგარიშიც კი გაათანაბრა, თუმცა ბრიტის შეწუხება ვეღარც ტაი-ბრეიკზე მოახერხა და ვეღარც მესამე ხელში.

თარსი აღმოჩნდა ეს დღე ანდრე აგასისთვისაც, რომელმაც ვუდბრიჯის, ბრუგერასა და რაფტერის ძლევის შემდეგ 13-მატჩიანი წაუგებელი სერია მსოფლიოს 126-ე ჩოგან იან-მაიკლ გემბილთან დაასრულა. თავხოტორა ანდრე გემბილს ზედიზედ მესამე ტურნირის მეოთხედფინალში გადაეყარა და მეტოქე აქამდე ორჯერვე დაემარცხებინა, მაგრამ 13-ში, პარასკევს, ნორჩ თანამემამულეს ვერაფერი მოუხერხა. იან-მაიკლი ჯერ კიდევ იანვრის ბოლოს მსოფლიოს ოდენ 227-ე ჩოგანი ყოფილა, მაგრამ ამ 20 წლის ჯეელმა, რომელსაც ჩემპიონთა თასზე მონაწილეობის უფლება მხოლოდ უაილდ-ქარდზე ბორის ბეკერის უარის გამო ერგო, ბოლო ორ თვეში ძალიან უმატა და ამერიკული ჩოგბურთის მთავარი იმედის იარლიყიც გაიკრა. თვით აგასიმ მას გარჯა ფრიად დაუფასა, ალბათ, მალე საუკეთესო ათეულში ვიხილავთო და თანაც განაცხადა, იანს დევისის თასის კაპიტან ტომ გალიქსონთან რეკომენდაცია გავუწიე, ნაკრებში ადგილს ამჟამად მასზე მეტად არავინ იმსახურებსო.

მეოთხედფინალებიდან ყველაზე დიდ ინტერესს პეტერ კორდასა და მარსელო რიოსის შეხვედრა იწვევდა, რომლებიც იანვარში ავსტრალიის ღია პირველობის ფინალშიც გაჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სამწუხაროდ, მატჩი უინტერესო გამოდგა, რაც ძირითადად წითური ჩეხის „დამსახურება“ გახლდათ, რომელსაც ოუფვენისდროინდელი ფორმა ვერაფრით აღუდგენია. რიოსი მთელი შეხვედრის განმავლობაში წინ იყო და უსიამოვნებები მხოლოდ ერთხელ, პირველი სეტის ბოლოს შეექმნა, როდესაც გამოცოცხლებულმა ჩეხმა 1:5-დან 4:5-მდე მიატანა, მაგრამ კორდამ ამ მომენტში ორი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, ხასიათი მთლად დაიძმარა და მეორე ხელში მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოხდის მიზნითღა მიმოდიოდა კორტზე. რიოსმა გამარჯვების შემდეგ კორდას მსგავსი ყირამალა გაჭიმა, სამაგიეროდ გადავუხადე ყოველი მოგების შემდეგ მაგის კუნტრუშში ნერვებს მიშლისო. რაც შეეხება ჩეხს, მან კიდევ ერთხელ გაუშვა ხელიდან კლასიფიკაციაში სამპრასის გადასწრების შანსი, რაც ინდიან უელსში გამარჯვების შემთხვევაში მიეცემოდა.

**ნახევარფინალი: მარსელო რიოსი — იან-მაიკლ გემბილი 7:6 (7:3), 6:3; გრეგ რუზეცკი — ტომას მუსტერი 7:6 (7:5), 6:1**

რუზეცკი მიღწეულით არ დაკმაყოფილდა და შაბათს ნახევარფინალში მოწოდების სიჩქარის ახალი რეკორდი დაამყარა — 240 კმ-სთ. ამჯერად გრეგმა რეკორდსმენობა შეიფერა და განცვიფრებულ მაყურებლებს თავის დაკვრით მიესალმა, მერე კი განაცხადა, ეს შესაძლებლობათა ზღვარი სულაც არ არის, უფრო რომ მოვინდომო, 250-ითაც დავკრავო, რაშიც ეჭვი არავის შეუტანია, მათ შორის ინგლისელის იმდღევანდელ მეტოქეს — მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ტომას მუსტერსაც, რომელსაც ანდრეი მედვედევთან მეოთხედფინალურ მატჩში ბარძაყის ტრავმა მიელო. ვეტერან ავსტრიელს რუზეცკისთან მოწოდებებში გაჯიბრების ძალა ისეც არ შესწევდა და ამ ტრავმამ უკანა ხაზიდან თამაშის უპირატესობაც გამოაცალა ხელიდან. მუსტერმა პირველ სეტს მაინც გაუძლო და ტაი-ბრეიკსაც მიატანა, მაგრამ ბადესთან დაშვებული ერთი შეცდომა გადამწყვეტი გეიმის მინიმალური ანგარიშით — 5:7-ით წაგებად დაუჯდა, მეორე ხელი კი უკვე მთლიანად რუზეცკისა იყო.

მარსელო რიოსისა და იან-მაიკლ გემბილის შეხვედრის დაწყება წვიმის გამო კარგა ხნით გადაიდო, თუმცა ტაროსის ჭირვეულობა ამით არ მორჩენილა, ჩოგბურთელებს ერთხელაც მაშინ მოუწიათ კორტის დატოვება, როდესაც ანგარიში 6:6 იყო. ორსაათიანი შესვენების შემდეგ რიოსმა ტაი-ბრეიკის პირველი ხუთი ქულა მიითვალა და უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია. მეორე სეტში კი მეტოქე სირბილით გაასავათა და მძლავრი ორხელა ბექჰენდ-ფორჰენდების გამოყენების საშუალება მოუსპო. გამარჯვება მან ისევ ყირამალათი აღნიშნა, რითაც მეტოქის აღშფოთება გამოიწვია, კორდა მაგის გამოჯავრების ღირსი სულაც არ არისო. გემბილმა რიოსს თაღლითობაშიც დასდო ბრალი, იცოდა, სწრაფი ტემპით თამაში რომ მიყვარს და გათამაშებების დაწყებას ყოველნაირად აჭიანურებდაო. თავად ჩილელმა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერი იუარა, თუ ევრე გაღიზიანებთ, ყირამალასაც მოვიშლი, ისეც არ გამომდის კარგადო.

**ფინალი: რიოსი — რუზეცკი 6:3, 6:7 (15:17), 7:6 (7:4), 6:4.**

სეზონის პირველი „მერსედეს ზე-ცხრის“ ტურნირის ფინალი ორი აბსოლუტურად განსხვავებული სტილის მოთამაშეს შორის საკმაოდ უფერული გამოდგა. ერთი შეხედვით, ჩია მარსელო რიოსი სწრაფ საფარზე რუზეცკის ვერაფერს დაუპირისპირებდა, მაგრამ მოხდა პირიქით: ინგლისელმა თავისი ისედაც მწირი სათამაშო არსენალის გამოყენება საერთოდ ვერ მოახერხა და არცთუ ძლიერი მოწოდების პატრონ მეტოქეს ერთი ბრეიკიც კი ვერ



რუზეცკი ფინალში დაიჩრდილა



მარტინა ჰინგისი

აართვა, თავად კი მატჩის მეორე და ბოლოსწინა გეიმებში ორჯერ დაკარგა მოწოდება. მატჩის ერთადერთი, სამაგიეროდ 17-წუთიანი ნათელი წერტილი მეორე ხელის ტაი-ბრეიკი გამოდგა, რომელშიც მეტოქეებმა სულელურ შეცდომებთან ერთად რამდენიმე კარგი გათამაშებაც გააზერხეს. რუზეცკისაც და რიოსსაც ხუთი სეტ-პოინტი გაუცუდდათ, საბოლოოდ კი გამარჯვებულ ინგლისელს მთელი ტრიბუნები ფეხზე წამოუდგა. ანგარიშის გათანაბრება ამ უკანასკნელის თამაშის ხარისხს ბევრით ვერ წაადგა — სამსაათიანი დუელის შემდეგ მაინც კიკინიანმა ჩილელმა გაიხარა. რიოსი ჩემპიონთა თასის მოგებით კლასიფიკაციაში ერთბაშად 4 საფეხურით დაწინაურდა და მესამე ადგილზე გადაბარგდა. ბიუჯეტი კი 361 ათასი დოლარით შეივსო.

ინდიან უელსი. ევერტის თასი.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 1 250 000 $

**ნახევარფინალი: მარტინა ჰინგისი (1, შვეიცარია) — ვინუს უილიამსი (8, აშშ) 6:0, 7:6 (9:7)**

ვინუს უილიამსმა, წაგების მიუხედავად, თავისი მაინც არ გადათქვა — მალე მე და ჩემი და სერენა პირველ-მეორე ჩოგნები ვიქნებითო. ჰინგისმა კი ვინუსს არ აწყენინა და კვერი დაუკრა, მართლაც იქნებიან, მე რომ ჩოგბურთიდან წავალო.

**ფინალი: ჰინგისი — ლინდსი დევენპორტი (2, აშშ) 6:3, 6:4.**

17 წლის შვეიცარიელმა წლეულს ორი მატჩი წააგო და ინდიან უელსში ორივესთვის იძია შური, ნახევარფინალში ვინუს უილიამსზე, ფინალში კი მსოფლიოს მეორე ჩოგანზე — ლინდსი დევენპორტზე. მარტინამ ფერხორციანი ამერიკელი ერთობ დაჩაგრა და მაყურებელი იმით გაამხიარულა, რამდენიმე დარტყმა მარცხენა ხელითაც რომ შეასრულა. გაკვირვებულ ჟურნალისტებს შვეიცარიელმა აუხსნა, 6 წლის რომ ვიყავი, მარჯვენა ხელის ცერი მოვიტეხე და ქვეყნის 9 წლიანთა ჩემპიონატი მარცხენათი ვითამაშეო. ჩემპიონატი, რა თქმა უნდა, ჰინგისის გამარჯვებით დასრულდა.

კოპენჰაგენის პირველობა. დანია.
ტარდება ჰარდზე.
საპრიზო 210 ათასი $

**მეოთხედფინალი: მაგნუს გუსტაფსონი (2, შვედეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:3, 4:6, 6:3; იან სიმერინკი (4, ჰოლანდია) — ბრეტ სტივენი (6, ახალი ზელანდია) 6:3, 6:3; კენეტ კარლსენი (დანია) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 6:3, 3:6, 6:1; დევიდ პრინოშლი (გერმანია) — ოლივიე დელეტრი (საფრანგეთი) 6:3, 6:3**

**ნახევარფინალი: გუსტაფსონი — კარლსენი 6:4, 5:7, 6:2; პრინოშილი — სიმერინკი 6:3, 7:6 (7:5)**

**ფინალი: გუსტაფსონი — პრინოშილი 3:6, 6:1, 6:1**

31 წლის ვეტერანმა შვედმა მაგნუს გუსტაფსონმა კოპენჰაგენის წვრილფეხა ტურნირის მოგებით კარიერის მეთერთმეტე ტიტული მიითვალა და ანაზღაურებაც შესაბამისი მიიღო — 30 ათასი დოლარი.

ავთანდილ სვანიძე

## მთის თხილამურობა

# მაიერი პირდაპირი მნიშვნელობით გაფრინდა

ავსტრიის სამთო მოთხილამურეთა ნაკრებმა მსოფლიო თასი რომ მოიგო ნორვეგიაში, ცნობილი ამბავია. ისიც ცნობილია, რომ ავსტრიელთა ლიდერი, ნაგანოს ვმირი ჰერმან მაიერი ისე გახდა მსოფლიო თასის გამარჯვებული, რომ ბოლო ეტაპზე არც კი უქროლია, ზურგმტკივანი იჯდა შინ და ტელევიზორს უყურებდა. მაგრამ თავისი გუნდისა და საკუთარი გამარჯვება რომ იხილა, გულმა აღარ მოუთმინა და ნორვეგიაში გაფრინდა, რათა გუნდთან ერთად დაბრუნებულიყო შინ.

ზალცბურგში, წვიმის მიუხედავად, 10 ათასი კაცი ელოდა ტრიუმფატორთა თვითმფრინავს. ავსტრიელებმა წელს სარეკორდო ოდენობის, 25 ჯილდო მოიგეს და თვითმფრინავიდან თასებით ხელში ჩამოვიდნენ.

მაიერი კი გვარიანად გართობილა ჰაერში ყოფნისას. პილოტებისთვის უთხოვია და მთელ ათ წუთს მჯდარა შტურვალთან. თან, თურმე, სულ იმეორებდა, ასე მგონია, კომპიუტერს ვთამაშობო. თანაგუნდელები გვარიანად აღელვებულან და ძლივს გამოუყვანიათ კაბინიდან. მაიერი კი ოხუნჯობდა, რაც მე თხილამურებით მიფრენია, მაგრამ „ლუფტჰანზით“ ფრენა მაინც სხვააო.

მსოფლიო თხილამურობის მეფე სახუთშაბათოდ დიდ ქეიფს გეგმავს თავის მშობლიურ ქალაქ ფლახაუში.

## ცურვა

# ჩინელები აღარ ცურავენ

ჩინელი მოცურავენი, აგრერიგად შერისხულნი ამ ზამთარს დოპინგთან დიდი მეგობრობის გამო, ჩანს, თავად ლესავენ მათსავე დასაკლავ დანას.

ჩინეთის მოცურავეთა ნაკრები ცურვის ცხრაეტაპა მსოფლიო თასის მონაწილეა და ამ გათამაშების დებულების მიხედვით თითოეულ ეტაპზე ოთხი მოცურავე მაინც უნდა გაგზავნოს. მაგრამ ჩინელებს ეს არაფრად ულირთ. ასე, მათ მხოლოდ ორი მოცურავე გაგზავნეს სიდნეიში, სადაც იანვარში პირველი ეტაპი ტარდებოდა, საერთოდ არავინ მიავლინეს რიო დე ჟანეიროში, თასის მეოთხე ეტაპზე და ახლაც, შეფილდში დაწყებული მეხუთე ეტაპი ჩინელთა გარეშე მიმდინარეობს. თვით ჰონკონგშიც კი, თასის მეორე ეტაპზე, ჩინელებმა გამოცხადებული თორმეტის ნაცვლად შვიდი მოცურავე გამოიყვანეს.

ჩინელთა ამგვარი ქცევა ბოიკოტს ჰგავს. ირონიაც იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც ავსტრალიის ქალაქ პერტში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩინელი მოცურავეები დოპინგში ამხილეს და იუან იუანი და მისი მწვრთნელი ცურვას მოკვეთეს მათ ჩანთებში ყოვლად აკრძალული ჰორმონების ნახვის შემდეგ, მსოფლიოს მოცურავეთა საძმომ ჩინელთა ბოიკოტი გადაწყვიტა. ბევრი ფედერაცია აცხადებდა, მსოფლიო თასის ჩინურ ეტაპს გამოვტოვებთო. ახლა კი თვითონ ჩინელებმა წამოიწყეს ბოიკოტი.

სადღეისოდ საქმე ისეა, რომ ჩინელ მოცურავეთა საქციელს ვერანაირი სასჯელი ვერ მოუდგება. ჩინელებს კი მოუწერიათ ხელი გათამაშების კონტრაქტზე, მაგრამ ეს კონტრაქტი სასჯელს არ ითვალისწინებს და ჯერჯერობით ერთადერთი სასჯელი საყოველთაო მორალური შერცხვენაა.

თუმცა, მსოფლიო ცურვის მამები პარიზში აპირებენ შეყრას და იქ ჩინელთა საქმესაც განიხილავენ.

## აფროსნობა

# კეიარდი შეყანყალდა

ვითბრედის VII გარსაქვეყნო ნაოსნობა, ჯილდოდ რომ ვოლვოს თასი აქვს, თავის VI სტადიას შეუდგა. ცხრა ეკიპაჟს ბრაზილიურ ნავსადგურ საო სებასტიაოდან 4750 საზღვაო მილიანი ზღვა უძევს ამერიკულ ფორტ ლოდერდეილამდე. გარსაქვეყნოს ოცდახუთწლიან ისტორიაში, მგონი, პირველად მოხდა, რომ ბრაზილიელ მეპაჟეთა გამოისობით გარმოქვეყნენი დააყოვნეს, ნავსადგომში წარმოქმნილი გემთა საცობიც ხელზე დაიხვიეს და მცირე სკანდალიც გამოვიდა, მაგრამ, აბა, სტადია ხანგრძლივად ხომ არ შეყოვნდებოდა?

აქამდელ ლიდერ ამერიკელი სკიპერის პოლ კეიარდის შვედური „ლენგვიჯი“ პრობლემათა წინაშე აღმოჩნდა და ახლა ახლოა, რომ საყოველთაო ლიდერობა სხვას გადაულოცოს. VI სტადიას კი ნორვეგიული „ინოვეიშენ კვერნერი“ მოექცა სათავეში თავისი ამაყი სკიპერით კნუტ ფროსტადით.

„ლენგვიჯის“ საქმე კი გლახად წავიდა, როცა გვიან ღამით ქარმა გვარიანად გააბურთავა და რახან დიდი სპინაკერი გაშლილი ჰქონდა, აქეთ-იქეთ აყირავა. ამას ტალღათა მკაცრი ნაკადი დაერთო და როგორც კეიარდმა თქვა, ცოტა გაწყდა, გვეგონებოდა, ნავი ჩაგვეძირება, იმიტომ, რომ სანახევროდ წყალში ვიდექითო.

„ინოვეიშენი“ კი წინაა. კვირას ის იღბლიან დასავლეთის ქარის ნაკადით სულშთაბერილი მიუყვებოდა ბრაზილიის ნაპირს და საზღვაო მილნახევრით უსწრებდა „ლენგვიჯს“.

**VI სტადიის ცხრილი გუშინ საღამოსთვის**

| | იახტა | ქვეყანა | სკიპერი | გასავლელი | ლიდერთან ჩამორჩენა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინოვეიშენ კვარნერ | (ნორვეგია) | კნუტ ფორსტადი | 4457 | |
| 2 | ი-ეფ ლენგვიჯ | (შვედეთი) | პოლ კეიარდი | 4459,4 | 1,8 |
| 3 | მერიტ კაპ | (მონაკო) | გრანტ დოლტონი | 4461,1 | 3,5 |
| 4 | სვიდიშ მეჩ | (შვედეთი) | გუნარ კრანცი | 4465 | 7,4 |
| 5 | ჩესი რუისინგ | (აშშ) | ჯონ კოსტეცკი | 4465,2 | 7,6 |
| 6 | სილკ კატ | (ბრიტანეთი) | ლორი სმიტი | 4465,5 | 7,9 |
| 7 | ტოშიბა | (აშშ) | პოლ სტენდბრიჯი | 4473,1 | 15,5 |
| 8 | ი-ეფ ედიუკეიშენ | (შვედეთი) | ქნი კრისტინ გიუ | 4474,1 | 16,5 |
| 9 | ბრიუნელსანერჯი | (ჰოლანდია) | როი ჰაინერი | 4477 | 19,4 |

ცხრილი შეადგინა საუთჰემპტონის გარსაქვეყნო ნაოსნობის ცენტრმა

# სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 10-19 ივლისს (ფეხბურთში 6 ივლისიდან) მოსკოვში სოკ-ის პატრონაჟით გაიმართება მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები. მასში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ხუთივე კონტინენტის 140-ზე მეტმა ქვეყანამ.

თამაშების პროგრამაში შეტანილი სპორტის 15 სახეობიდან ქართველი სპორტსმენები იასპარეზებენ 12 სახეობაში.

ზემოაღნიშნულ სპორტულ ღონისძიებაზე აკრედიტაციის მსურველმა სპორტულმა ჟურნალისტებმა, გთხოვთ, ა.წ. 25 მარტამდე მიმართოთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრს (დავით აღმაშენებლის გამზ. 65. ტელ: 95-20-79).

აკრედიტებული ჟურნალისტის მოსკოვში მგზავრობისა და ცხოვრების ხარჯები უნდა გაიღოს მიმავლინებელმა ორგანიზაციამ ან თვით ჟურნალისტმა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესცენტრი

რეგულარული ჩემპიონატი

# ლიგამ პოკერი გააჩაღა

### დალასი 6:3 ანაჰაიმი

**შაიბები: ნუინდაიკი 28 (1:0), ნუინდაიკი 29 (2:0), ლანგებრუნერი 20 (3:0), ნუინდაიკი 30 (4:0), ბენშემი 1 (4:1), კარბონო 5 (5:1), ვალენი 4 (5:2), ნუინდაიკი 31 (6:2), პრონგერი 4 (6:3).**

ლაზარეთად ქცეულმა დალასმა ნამდვილად გმირობა ჩაიდინა და ამ წარმატების სულისჩამდგმელი მოდანოს არყოფნაში გაკაპიტნებული ჯო ნუინდაიკი გახლდათ. არადა, დალასს მეტოქედ ისეთი გუნდი ჰყავდა, რომელსაც უკანდასახევი გზა აღარ ჰქონდა, მაგრამ ბრწყინვალე ჯოს წინააღმდეგ „იხვების“ მეკარეები — შტალენკოვი და ახალბედა ესკი უძლურნი აღმოჩნდნენ. უკვე პირველ პერიოდში დალასელმა ფორვარდმა ვერბიკისა (3 პასი) და მარშალის დახმარებით ორჯერ გაიტანა, მას შემდეგ კი, რაც კარბონომ ანგარიში 5:1-მდე გაზარდა, გუნდებს თითქოსდა მშვიდად უნდა დაემთავრებინათ ორთაბრძოლა, რაც არ მოხდა — დალასელებმა რატომღაც მუშტებითაც მოინდომეს ანგარიშსწორება. სრულიად უხიფათო სიტუაციაში გრანტ მარშალი „იხვების“ სნაიპერ ტეემუ სელიანეს დაესხა თავს, რის შემდეგაც მოედანზე ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა, თუმცა ისედაც საკმაოდ შეთხელებულმა „ვარსკვლავებმა“ ვნებათაღელვით მხოლოდ საკუთარ თავს ავნეს.

### ფილადელფია 6:1 დეტროიტი

**შაიბები: დეიგლი 10 (1:0), დეიგლი 11 (2:0), ბრინდამორი 28 (3:0), რიჩარდსონი 2 (4:0), აიზერმანი 17 (4:1), კლეტი 11 (5:1), დეიგლი 12 (6:1).**

როგორც იქნა, ფილადელფიამ მიაღწია იმას, რასაც მთელი სეზონის განმავლობაში ვერ ახერხებდა — ლიგის ელიტაში დამკვიდრებული ოთხი გუნდიდან (დეტროიტი, კოლორადო, ნიუ ჯერსი, დალასი) ერთ-ერთს სძლია. ისიც სათქმელია, რომ სტენლის თასის ფინალში „მფრინავები“ სწორედ დეტროიტელებმა დაიბრიყვეს, წლევანდელ სეზონში მათი პირველი შეხვედრაც „წითელფრთიანთა“ სასარგებლოდ დასრულდა. ფილადელფიელთა ახალი მწვრთნელის როჯერ ნილსონის იღბლიან დებიუტს კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი დაემატა — გუნდის ახალწვეულმა ალექსანდრ დეიგლმა დაამტკიცა, რომ უდიდესი პოტენციალი გააჩნია. დეიგლი რომ პერსპექტიული თავდამსხმელია, ამის დასტურად კარიერაში მისი პირველი ჰეთ-თრიქიც გამოდგება.

**13 მარტი. ფლორიდა — ედმონტონი 0:4**
**14 მარტი. ბოსტონი — რეინჯერსი 5:1, კაროლინა — სან ხოსე 1:2, პიტსბურგი — ბუფალო 2:1, ოტავა — ვაშინგტონი 4:0, მონრეალი — ნიუ ჯერსი 4:2, აილენდერსი — ვანკუვერი 2:6, ტამპა — ჩიკაგო 1:0, ტორონტო — კალგარი 2:1, სენტ ლუისი — ფინიქსი 0:2, ლოს ანჯელესი — კოლორადო 5:2.**
**15 მარტი. კაროლინა — ედმონტონი 4:1, ბუფალო — პიტსბურგი 3:0, ფლორიდა — ჩიკაგო 4:8.**

ჩეხეთის ნაკრების ტრიუმფმა ნაგანოში ერთობ გაზარდა ნჰლ-ელთა ინტერესი ამ ქვეყნის ჰოკეისტთა მიმართ. ამიტომაც იარომირ იაგრისა და დომინიკ ჰაშეკის კლუბების — პიტსბურგისა და ბუფალოს ორდღიანი პაექრობა უქმეების მთავარი მოვლენა გახდა. ამ ორთაბრძოლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ორივე ვარსკვლავი გამორჩეული ოსტატია. პირველ თამაშში, რომელიც პიტსბურგში გაიმართა, ჰაშეკის ავ-კარგის მცოდნე „პინგვინთა“ ჩეხებმა ორჯერ შეძლეს მისი მოტყუება — მარტინ სტრაკამ (14) ორივე გოლი იაგრის დახმარებით გაიტანა, თანაც ორჯერვე დამატებაზე იყარგა. მასპინძელთა დაწინაურების შემდეგ ბუფალოელებმა მთელი ძალით შეუტიეს, მაგრამ ტრავმამოშუშებული ტომ ბარასოს (36 მოგერიება) საუცხოო თამაშმა მთელი გარჯა წყალში ჩაუყარათ, თუ რა თქმა უნდა, ერთადერთ საპასუხო შაიბას არ ჩავთვლით. ბარასომ განსაკუთრებით ბოლო წუთებში ივაჟკაცა, როცა მასპინძელთაგან მოედანზე მხოლოდ სამი ჰოკეისტი დარჩა და ბუფალოელებმა მეკარე დამატებითი მოთამაშით შეცვალეს. თუმცა ჰაშეკი რის ჰაშეკი იქნებოდა, მისი მჯობნი კოლეგისთვის მეორე მატჩში ანგარიში არ გაესწორებინა: მარტო იაგრს მეორე პერიოდში თავისი გუნდის დაწინაურების ოთხი (!) რეალური შესაძლებლობა ჰქონდა, ფრენსისმა კი 30-წამიან მონაკვეთში ორჯერ შემოარტყა თავში ხელი. „დომინატორის“ შემყურე ბუფალოელებიც გამოცოცხლდნენ და მესამე მესამედში 3 შაიბა შეაგდეს. გუნდის კაპიტანმა პეკამ 3 (2+1) ქულა დააგროვა, ჰაშეკმა კი ჩემპიონატის სარეკორდო, მე-10 „შათაუტი“ მიითვალა.

ბოსტონში რეინჯერსი, ფაქტობრივად, ორმა მოთამაშემ სძლია. „დათვების“ წამყვან ფორვარდებს — ჯესონ ელისონსა და დმიტრი ხრისტიჩს ყველაფერი გამოსდიოდათ, გოლებიც ერთიმეორეზე უკეთესი გაიტანეს. ჯამში დაგროვებულ 10 (5+5) ქულას (!) მათ კიდევ დაუმატეს მიღწევები: ხრისტიჩმა 5 (2+3) ქულით პირადი რეკორდი დაამყარა, ელისონმა კი სეზონში მე-2 ჰეთ-თრიქს 2 პასიც მიაყოლა. ჯესონსა და დმიტრის არც მათი პარტნიორი სამსონოვი ჩამორჩა — 18 წლის ჰოკეისტმა, რომელიც ტორონტოელ მაიკ ჯონსონთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო ახალბედის პრიზის მთავარ პრეტენდენტად ითვლება, 2 პასი მიითვალა, მთლიანობაში კი ამ სამეულის ანგარიშზე ბოლო 8 მატჩში 42 ქულაა!

ნიუიორკელთა უიღბლობით კარგად ისარგებლეს ოტაველებმა, რომლებმაც ზედიზედ მე-4 საშინაო თამაში მოიგეს და თავიანთ კონკურენტს საპლეიოფო საგზურისთვის ბრძოლაში უკვე 7 ქულით უსწრებენ. კვლავ გაიბრწყინა „სენატორთა“ მეკარე რონ ტაგნატმა (სეზონში მე-3 „შათაუტი“), რომელმაც თავისი კარიერა სწორედ ვაშინგტონში დაიწყო და თავისი ყოფილი კლუბის მიმართ განსაკუთრებით დაუნდობელია. კანადელთაგან 2 გოლი ალფრედსონმა (14) გაიტანა, ხოლო ექს-ფილადელფიელი ვაცლავ პროსპალი პირველად გამოირჩა ახალ გუნდში.

გამოუცნობმა ფინიქსელებმა ზედიზედ 10 უხეირო მატჩის შემდეგ ცენტრალური დივიზიონის ორი ლიდერი დაამარცხეს. დალასს სენტ ლუისი მიჰყვა, თანაც ლიგის ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან გუნდს „კოიოტებმა“ არც ერთი გოლი არ გაატანინეს. ახალგაზრდა მეკარე უეიტმა სეზონში პირველი „მშრალი“ მატჩი ჩაატარა, მეორე ახალბედამ, ისბისტერმა კი გადამწყვეტი შაიბით გაახარა თავისიანები.



დალასი — ანაჰაიმი. დალასელი დერილ საიდორი და ანაჰაიმელი ბრენტ სევერინი (მარჯვნივ) ხელდახელ შებმულან

წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერი კოლორადო ბოლო ხანს გადაღლილი ჩანს. ეტყობა, სენტ ლუისთან უაღრესად დაძაბული თამაშის შემდეგ „ეველანშმა“ ძალების აღდგენა ვერ მოასწრო და კარგ ფორმაში მყოფ ლოს ანჯელესს მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწია წინააღმდეგობა, მეორეში კი „მეფეებმა“ 3 უპასუხო შაიბა შეაგდეს (აქედან 2 მოგერის (11) ანგარიშზეა). სტუმრებმა ბოლო წუთებზეღა მოახერხეს სამარცხვინო 0:5 მარცხისგან თავის დაძვრენა. ტორონტომ მცველ შნაიდერის 2 შაიბის წყალობით ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა და დასავლეთში მე-8 ადგილზე დამკვიდრებულ ჩიკაგოსგან 5 ქულაღა აშორებს.

ბოლოს, რამდენიმე იუბილეზეც მოგახსენებთ. ბოსტონელი ვეტერანი რეი ბურკი ნჰლ-ის ისტორიაში მეორე მცველია, რომელმაც 1400 ქულა დააგროვა. ნიუჯერსელმა ანდრეიჩუკმა 1100-ე ქულა მიითვალა, დალასელი ვერბიკისა და მისი პარტნიორის ადამსის ანგარიშზე შესაბამისად 450-ე და მე-200 გოლია. ჩიკაგოელმა ჩელიოსმა მე-600 პასი ჩაიწერა აქტივში, ხოლო ფლორიდელმა მიულერმა — მე-500.

თუ აღმოსავლეთში პლეი-ოფში გამსვლელთა ვინაობა ასე თუ ისე ცხადია, დასავლეთში ბრძოლა ჯერ კიდევ წინაა. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთ გუნდს აქვს რეალური შანსი, თუმცა დანარჩენი სამი საგზურის მოპოვების იმედი არც აუტსაიდერ ვანკუვერსა და ანაჰაიმს დაუკარგავთ. შაბათს კანადელებმა თავიანთი აგრესიულობით აილენდერსელები დააბნიეს, რომელთაც მეკარე სალომაც უმტყუნა: ბერტუციმ (11) გადამწყვეტი შაიბა შეაგდო, ორიც ახალბედა სკაჩარდმა დაამატა.

ჩიკაგომ მეტად დასანანი მარცხი იწვნია ტამპაში, სადაც მეკარე ფიცპატრიკს ვერაფერი მოუხერხა. სამაგიეროდ, გამწარებულმა „ქორებმა“ ფლორიდაში „პანტერები“ არ დაინდეს. პირველი პერიოდის შემდეგ ისედაც უხეიროდ მოთამაშე მასპინძლებს ტაბლოზე შეხედვისაც კი რცხვენოდათ — 0:6. დარჩენილ დროში მათ მხოლოდ შეამცირეს სხვაობა. ეს ფლორიდელთა ზედიზედ მე-9 (კლუბის ანტირეკორდი) მარცხია, რაც შეეხებათ ჩიკაგოელებს, მათ, სეზონში პირველად, 8 შაიბა შეაგდეს. გამოსარჩევი კი, უდავოდ, ფორვარდ ერიკ დაზეს 4 გოლია. სხვათა შორის, უქმეები მეტად ნაყოფიერი გამოდგა თავდამსხმელთათვის, რომლებმაც 2 პოკერი (მანამდე მთელ ჩემპიონატში მხოლოდ მონრეალელმა სავაჟმა შეძლო 4 შაიბის გატანა) და 3 ჰეთ-თრიქი გაახერხეს, კვირას კი მათი ბენეფისი კაროლინელმა კაპანენმა დაასრულა. ფინელმა ფორვადმა ჯერ ედმონტონელი ჯოზეფის 189-წუთიანი „მშრალი“ სერია შეწყვიტა, ბოლო მესამედში კი კიდევ ორჯერ გაიტანა. ეს კაპანენის მე-2 ჰეთ-თრიქია სეზონში.

### სამველ ლარიბიანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ნიუ ჯერსი | 66 | 40 | 9 | 17 | 188:131 | 89 |
| პიტსბურგი | 67 | 34 | 14 | 19 | 188:156 | 82 |
| ფილადელფია | 64 | 34 | 10 | 20 | 189:147 | 78 |
| მონრეალი | 65 | 32 | 8 | 25 | 190:164 | 72 |
| ვაშინგტონი | 65 | 29 | 11 | 25 | 176:171 | 69 |
| ბოსტონი | 65 | 28 | 13 | 24 | 170:157 | 69 |
| ბუფალო | 65 | 27 | 15 | 23 | 163:151 | 69 |
| ოტავა | 65 | 27 | 10 | 28 | 152:159 | 67 |
| კაროლინა | 65 | 26 | 7 | 32 | 160:177 | 59 |
| რეინჯერსი | 66 | 20 | 17 | 29 | 162:183 | 57 |
| აილენდერსი | 65 | 22 | 9 | 34 | 167:184 | 53 |
| ფლორიდა | 65 | 18 | 12 | 35 | 155:199 | 48 |
| ტამპა | 65 | 14 | 9 | 42 | 122:208 | 37 |
| **დასავლეთი** | | | | | | |
| დალასი | 65 | 39 | 10 | 16 | 197:132 | 88 |
| კოლორადო | 69 | 34 | 16 | 19 | 203:172 | 84 |
| დეტროიტი | 67 | 35 | 13 | 19 | 198:158 | 83 |
| სენტ ლუისი | 68 | 36 | 8 | 24 | 202:161 | 80 |
| ლოს ანჯელესი | 65 | 31 | 11 | 23 | 190:171 | 73 |
| ფინიქსი | 66 | 26 | 12 | 28 | 180:187 | 64 |
| ედმონტონი | 67 | 26 | 10 | 31 | 171:188 | 62 |
| ჩიკაგო | 66 | 25 | 11 | 31 | 162:162 | 61 |
| სან ხოსე | 65 | 26 | 7 | 32 | 161:175 | 59 |
| ტორონტო | 65 | 24 | 8 | 33 | 154:184 | 56 |
| კალგარი | 66 | 20 | 12 | 34 | 173:202 | 52 |
| ანაჰაიმი | 66 | 21 | 9 | 36 | 158:205 | 51 |
| ვანკუვერი | 67 | 20 | 11 | 36 | 187:234 | 51 |

ახალბედები: ჯონსონი (ტორონტო) 40 (12+28), სამსონოვი (ბოსტონი) 36 (15+21), შტურმი (სან ხოსე) 28 (10+18), ელიაში (ნიუ ჯერსი) 27 (15+12), ზედნიკი (ვაშინგტონი) 26 (17+9), ოლუნდი (ვანკუვერი) 26 (7+19), მარლო (სან ხოსე) 25 (12+13), მორისი (კალგარი) 24 (8+16), პროსპალი (ოტავა) 21 (6+15).

# მოკლეს თუ თავი მოიკლა?

კვირას, 15 მარტს, თავისსავე ოფისში მკვდარი ნახეს ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი დუშან პაშეკი. იგი სლოვაკეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი გახლდათ და, ვარაუდობენ, რომ შესაძლოა, ეს მკვლელობა მის მოღვაწეობასთან ანაც ოლიმპიადაზე ქვეყნის ნაკრების სუსტ ასპარეზობასთან არის დაკავშირებული, თუმცა არც თვითმკვლელობაა გამორიცხული.

პაშეკი თავის დროზე ჩეხეთ-სლოვაკეთის ნაკრების კაპიტანი და წამყვანი მოთამაშე იყო, 1985 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, 1988-90 წლებში კი ნჰლ-ში, კერძოდ, მინესოტაში გამოდიოდა.

# ჩელიოსი ფულიანი მატროსოვია

* აშშ-ის ნაკრების ნახულიგნარ ჰოკეისტებს შაბათს გუნდის კაპიტანმა კრის ჩელიოსმა ნაგანოში ნაწვნევი სირცხვილი მოსწმინდა. მან იაპონიის ოლიმპიურ კომიტეტს გაუგზავნა 3 ათასი ამერიკული დოლარის ჩეკი და წერილი, რომელშიც მთელი გუნდის სახელით მოიბოდიშა. მისი თქმით, ამერიკელ მოთამაშეთა საქციელი ყოვლად გაუმართლებელია და სრულიად არ შეესაბამება ოლიმპიურ ტრადიციებსა და სულისკვეთებას. ჩელიოსის აზრით, გადარიცხული თანხა მთლიანად დაფარავს იმ ზარალს, რომელიც აშშ-ის ოლიმპიელმა ჰოკეისტებმა მიაყენეს სასტუმროს ორ ნომერს. გარდა ამისა, გუნდის კაპიტანმა კონკრეტული დამნაშავეების დასახელებისგან თავი შეიკავა და მთელი პასუხისმგებლობა ნაკრებს დააკისრა. ასე რომ, ჩელიოსის ამ ჟესტმა, შესაძლოა, აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტის რისხვა გაანელოს და მისი თავხედი თანაგუნდელები სასჯელისგან იხსნას.

# ჯერ საქმე, მერე მეგობრობა

აილენდერსის გენერალური მენეჯერი მაიკ მილბერი ჯერ კიდევ იანვარში ემუქრებოდა დათხოვნით გუნდის მწვრთნელ რიკ ბოუნესს და ერთი ხანობა, ზედიზედ 10 წაგების შემდეგ, ნიუიორკელები თითქოს გამოსწორდნენ კიდეც. თუმცა ეს წინსვლა დროებითი აღმოჩნდა, შემდეგ აილენდერსის საქმე კვლავ უკან წავიდა და მილბერის მოთმინების ფიალაც აივსო. ოთხშაბათს გენერალურმა მენეჯერმა ბოუნესი გაათავისუფლა და სეზონის ბოლომდე თავად გაუძღვება გუნდს. აღსანიშნავია, რომ მილბერი და ბოუნესი დიდი ხნის მეგობრები არიან, ბოსტონში მათმა თანამშრომლობამ 1990 წელს „დათვები“ პლეი-ოფის ფინალშიც კი გაიყვანა და აილენდერსშიც მენეჯერად აღზევებულმა მილბერმა ბოუნესს დაუთმო მწვრთნელის ადგილი. თუმცა მეგობრობა ერთია და საქმე მეორე.

ბოუნესი მეხუთე (!) მწვრთნელია, ვინც ატლანტიკის დივიზიონში დაითხოვეს. კოლეგათა ხვედრი ჯერჯერობით არ გაუზიარებით ნიუჯერსელ ჟაკ ლემერსა და ვაშინგტონელ რონ უილსონს.

# ვარსკვლავებს სისხლი სდით

ბოლო ორი წლის განმავლობაში აუტსაიდერიდან ლიგის წამყვან გუნდად ქცეულ „დალასელ ვარსკვლავებზე“ ნამდვილი ნადირობაა გაჩაღებული. კლუბი, რომელმაც გონივრული თამაშით კარგა ხანია მოიგო მაყურებლის გული, ტანმაღალი და აგრესიული ჰოკეისტების ნაკლებობას განიცდის და ამიტომ ძალიან ხშირად ხდება მეტოქეთა უხეშობის მსხვერპლი. გუნდის ახლანდელი მდგომარეობა კი თითქმის კატასტროფის ტოლფასია — უკვე დაშავებული ექვს მოთამაშე, მათ შორის წამყვან ფორვარდ მაიკ მოდანოს (დაახლოებით 1-2 თვე გაუცდება) და შემტევ მცველ სერგეი ზუბოვს ბოლო მატჩებში სამი თანაგუნდელი შეემატა: თავდამსხმელ ბობ ერის ტვინი შეურყიეს, მცველებს რიჩარდ მატვიჩუკს და შონ ჩამბერსს კი მუხლი დაუზიანეს.


მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები
ფასები გაგაკვირვებთ

ყაზბეგის 42 ტელ 375281 294840
e-mail dato@acacia.postnet.ge



სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოლუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, ირისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29